

სოციალურ
მეცნიერებათა
ვექტორები

N 6, 2023



VECTORS OF
SOCIAL SCIENCES



სამართაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი
INTERNATIONAL SCIENTIFIC PEER-REVIEWED JOURNAL

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს
სამეცნიერო ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებათა ვებჟურნალი

საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი
ჟურნალი

N 6 2023

თბილისი 2023

სარედაქციო კოლეგია

ანა ფირცხალაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით (თავმჯდომარე)

გიორგი ლავთაძე

დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სასწავლო მიმართულებით

გოდერძი ბუჩაშვილი

დოქტორი, ასოც. პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით

საშა ფლემინსი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, bbw Gruppe გენერალური დირექტორი. განათლების კვლევის და ადმინისტრირების ინსტიტუტის დირექტორი. ბერლინისა და ბრანდენბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

შთაფან შლენაერ

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტის პროფესორი, დოცენტი

ეპარტო კლიანი

ემ. პროფესორი, პოტსდამის უნივერსიტეტი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამფუძნებელი დირექტორი

მარტინ დალი

ლაზარსკის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი, პოლონეთის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული აკრედიტაციის საბჭოს წევრი

ანდრეა აკოლონი

რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტის პროფესორი

ჯოაჰენ ფრანსკე

პროფესორი, დოქტორი, პოტსდამის უნივერსიტეტის ლექტორი, პოტსდამის უნივერსიტეტთან არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

მარკუს კერბერი

სამართლის დოქტორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის, ეკონომიკური სამართლისა და ეკონომიკურ სწავლებათა ინსტიტუტის პროფესორი.

იუსტინა ბოკაიო

დოქტორი, ვროცლავის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ევროპული ინტეგრაციის კვლევების დეპარტამენტი.

ეკატერინე ქარდავა

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, საჯარო სამსახურის ბიუროს თავმჯდომარე.

ედითორები

სერგო ფელიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

თეა ჯულელი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ბესიკ ლოლაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

გიორგი ციხაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

თენგიზ თაყაიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ლაბა ზივზივაძე

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტი

პაატა შურღია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

დავით ჩახვაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

რუსუდან ბერიანაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ლარისა კატარია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლევანი დუნდუა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თამარ კაპუთია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნოდარ სარჯველაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

გადონა კეკელია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ტექნიკური რედაქტორი:

ანა ცეცხლაძე

ISSN 2667-9892

DOI: <https://doi.org/10.51895/VSS>

უკ (udc) 001.5 ს 75

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

რედაქციის აზრი შეიძლება, არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ინა შანავა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

გიორგი დონაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ლია ქურხული

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

თინათინ ზაქარაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ია მახარაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

მარინე გერმანიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

აკაკი აბზიანიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ეკა დარბანიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარინე იორიანაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ქრისტინე მაჭარაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

სტივ შილერი

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი OST

გაბრიელა შილი

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი OST

რუდი მაიერი

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი OST

ნია ძირია

პრაქტიკოსი, ექსპერტი

სარჩევი

ალფრედო მოსკარდინი, თეონა მაისურაძე, გოდერძი ბუჩაშვილი სისოცხლისუნარიანი საბანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურირება	5
მარიამი ბაზერაშვილი სამოქალაქო საგოგადოების როლის განსაზღვრა განვითარებად სახელმწიფოებში	20
გვანცა ვარამაშვილი კანონიერი ნდობის პრინციპი კანონიერების პრინციპის პირისპირ	31

სოცოხლისუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურირება

ალფრედო მოსკარდინი

პროფესორი, კარდიფის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი,
ემერიტუსი, სანდერლენდის უნივერსიტეტი

თეონა მაისურაძე

პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

გოდერძი ბუჩაშვილი

პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

განათლების ექსპერტები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ „ტრადიციულ“ სასწავლო პროგრამებს, რომლებიც თანამედროვე ინდუსტრიული და ცოდნის ეკონომიკის პირობებში სტუდენტებს დასაქმებისათვის შესაბამის უნარებს ვერ უვითარებენ. ამ სტატიის კონტექსტი ჩვენ ავირჩიეთ მეტაფორა, რომელიც ჩვენი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას საუკეთესოდ ახსნიდა. ჩვენს მიერ შემუშავებული დიზაინი ეფუძნება სისტემურ აზროვნებას და ხაზს უსვამს ორ მნიშვნელოვან კონცეფციას: ორგანიზაციის სტრუქტურასა და ოპერაციული სრულყოფილებას. სტატია არ მსჯელობს ამ დიზაინის უპირატესობაზე, არამედ საუბრობს მის ფარგლებში გაუმჯობესებულ კომუნიკაციაზე პერსონალთან, სტუდენტებთან და სხვა დაწესებულებებთან.

საკვანძო სიტყვები: დასაქმების უნარები ბიზნესში, ოპერატიული ბრწყინვალება, სასწავლო გეგმის შემუშავება.

შესავალი

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის მაჩვენებელი, გამოიკვლიოს ცვლილებებზე პროგრამების შესაძლო რეაგირება და მისცეს რეკომენდაციები მდგრადი საგანმანათლებლო პროგრამის შესაქმნელად. კვლევა განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის იმ ელემენტებს, რომლებიც საშუალებას აძლევს პროგრამას მოერგოს ცვალებად საჭიროებებს. კვლევის ფარგლებში შესწავლილი და გაანალიზებულია არსებული სამაგისტრო პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირებაში როგორც მთელს მსოფლიოში და ასევე საქართველოში.

კვლევისას განხილული კითხვები შეადგენს: 1. რა განაპირობებს პროგრამების მდგრადობას და რომელია ის ძირითადი ელემენტების რომლებიც ზემოქმედებენ მასზე?; 2. აქვს თუ არა პროგრამებს უნარი გაუმკლავდნენ აუცილებელ ცვლილებებს?; 3. რა სახის რეკომენდაციები შეიძლება გვქონდეს პროგრამის შესაძლო სტრუქტურის შესახებ, რაც უზრუნველყოფს მდგრადობას? კვლევით კითხვებზე პასუხის გასაცემად, მდგრადობის

ელემენტების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებულია საგანმანათლებლო პროგრამების მოკვლევა და ხარისხობრივი კვლევა რომელშიც მონაწილეობა მიიღო შერჩეული პროგრამების წარმომადგენლებმა. ჩატარებულია სიღრმისეული ინტერვიუები, სადაც განხილულია არსებული პროგრამების მდგრადობა. მოკვლევის საფუძველზე შედარებულია და გაანალიზებულია მიღებული ინფორმაცია და შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდებული სტრუქტურა.

კვლევის თითოეული მიზანი მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელს უწყობს კვლევის ზოგად მიზანს და აწვდის ღირებულ შეხედულებებს იმ დაწესებულებებს, რომლებიც გეგმავენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას ან მიმდინარე პროგრამების ცვლილებებთან ადაპტირებას.

ბიზნესის ადმინისტრირების პირველი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა 1905 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ და თანდათან გახდა მნიშვნელოვანი ნაბიჯი მენეჯერული პოზიციების დასაკავებლად. ასეთი პროგრამები ხორციელდება 15000-ზე მეტ უნივერსიტეტში მთელს მსოფლიოში. უმაღლესი განათლების მართვის საბჭომ ბოლო მოხსენებაში დაადასტურა, რომ მოთხოვნა მთელს მსოფლიოში აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მცირდება¹.

ნაშრომი იწყება იმ გამოწვევების იდენტიფიცირებით, რომელთა წინაშეც დღეს საგანმანათლებლო პროგრამები დგანან. ამ გამოწვევების დაძლევის ერთ-ერთი გზაა განათლების პროცესზე შეხედულებების შეცვლა. ნაშრომი ვარაუდობს, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია ნაშრომში გამოყენებული მეტაფორების შეცვლით. შემდგომ ნაშრომი აღწერს შემოთავაზებულ ახალ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც დაფუძნებულია სისტემურ აზროვნებაზე და მიზნად ისახავს კრიტიკული და რეფლექსური უნარების განვითარებას გამოვლენილი გამოწვევების გადასაჭრელად. უპირველესი გამოწვევა წარმოადგენს არჩევანს, რადგან დღითიდღე იზრდება კონკურენცია ონლაინ კურსებიდან, როგორცაა MOOC's და Coursera. ონლაინ სწავლის ეს ტენდენცია განსაკუთრებით აქტუალური გახდა კოვიდ პანდემიის პერიოდში. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურების უმეტესობა ითვალისწინებს პირისპირ და ონლაინ სწავლების შერეულ მიდგომას, მაგრამ ვთვლით, რომ პროგრამის მდგრადობის წინაშე უფრო ღრმა გამოწვევები დგას.

ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი. ინდუსტრიაში განვითარებულმა გლობალურმა ცვლილებებმა და დედამიწის რესურსების ხელახალმა გადაფასებამ უფრო აქტუალური გახადა საუბრები განათლების როლის შესახებ, რომელიც გლობალური ეკონომიკის პირობებში მრავალი პრობლემის გადასაჭრელ უნარებზე უნდა იყოს კონცენტრირებული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რობოტების ზრდა, ხელოვნური ინტელექტის განვითარება და მენეჯმენტის ახალი პრაქტიკა ექსპონენციალური სისწრაფით ვითარდება, საკითხი დგება იმაზე, თუ რამდენად ასახავს ამ ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამები. არსებობს მოსაზრება, რომ არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ისწავლება მხოლოდ ბაზრის სტანდარტული ხედვა. აკადემიკოსები ეჭვქვეშ აყენებენ „ტრადიციულ“ პროფესიულ აქცენტებს, რომელიც გამოიყენებოდა სტუდენტების მოსამზადებლად კონკრეტული კარიერული გზებისთვის, როგორცაა ბიზნესი, სამართალი, მედიცინა ან ინჟინერია². ამჟამად კი სერიოზული დებატები მიმდინარეობს იმაზე, რომ საჭიროა უფრო ლიბერალური განათლების შეთავაზება. ლიბერალური განათლება (ზოგჯერ მოიხსენიება როგორც ზოგადი

¹ Byrne, J., "It's Official: The M.B.A. Degree Is In Crisis", 2021.

² Apple, M. W., "Markets, Standards, Teaching and Teacher Education", 2001.

განათლება) აქცენტს აკეთებს ინტერდისციპლინარულ სასწავლო გეგმებზე, ხელს უწყობს ზოგადი პრინციპების შესწავლას, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა სფეროში. ის მოიცავს გლობალურ და მრავალფეროვან სამყაროში კულტურული ცნობიერების გამოყენებით პრობლემების გადაჭრა. სწავლის შედეგები ფოკუსირებულია კრეატიულობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, რადგან ახალი ერა მოითხოვს ახალ გადაწყვეტილებებს იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც აქამდე არ შეგვხვედრია. ლიბერალური განათლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი გახლავთ ეფექტური კომუნიკაციის სწავლება³. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე დასაქმების ბაზარი ზოგადი განათლების სპეციალისტებს მოითხოვს, რომლებსაც აქვთ უნარი ადაპტირდნენ ცვალებად გარემოში მიიღონ საჭირო ინფორმაცია ფუნქციონირების გასაგრძელებლად, და პიაჟესა და ვიგოდსკის⁴ თანახმად „მართოს და ასიმილაცია გაუწიოს ინფორმაციის დიდ რაოდენობას“⁵.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები განსაკუთრებით წამყვან უნივერსიტეტებში ნაცნობობის ქსელის გაფართოვების საშუალებას იძლეოდა როგორც ტოპ კომპანიებთან, ასევე სტუდენტებთან, რომლებიც, შემდგომ ინდუსტრიის ლიდერებად მოიაზრებოდნენ⁶. მაგრამ საუკეთესო პროგრამების ღირებულება (100 000 აშშ დოლარიდან ზემოთ) საკმაოდ მაღალია და ხშირ შემთხვევაში მოითხოვს მის შედარებას მიღებულ ღირებულებასთან⁷. სხვადასხვა უნივერსიტეტს სხვადასხვა სტრატეგია აქვს არჩეული პროგრამებისთვის, თუმცა ანალიზის შედეგად გამოვლენილია ის საგანმანათლებლო პროგრამების ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამების მდგრადობას. შესწავლილ ელემენტებს შორის, პირველ რიგში, განხილულია სასწავლო გეგმის სტრუქტურის მოქნილობა, კურიკულუმი, რომელიც ადვილად ადაპტირდება, განვითარებული ტენდენციები და ბარიერები. კვლევა გამოყოფს იმ ძირითად ნიშნებს, რომლებიც ავითარებენ სტუდენტების აზროვნებას და დისციპლინებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სფეროს სპეციფიკურ ხედვას.

კვლევის შედეგად გამოვლენილი პროგრამის სტრუქტურის მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც საშუალებას გვაძლევს სასწავლო პროცესი მორგებული იყოს სტუდენტზე, ასევე ხელს უწყობს პროგრამაში ჩართული ლექტორების კმაყოფილებას რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს და ლექტორს ერთად განვითარდნენ ტექნოლოგიების ინტეგრაციის პროცესში და დაამატონ ახალი დისციპლინები, რაც ორივე მხარეს მისცემს წინსვლის შესაძლებლობას. გამოვლენილი მესამე ელემენტი საგანმანათლებლო პროგრამაში რესურსების მართვისა და კრიზისებთან გამკლავების უნარია. შესწავლილ პროგრამებიდან გამოკვლეული იქნა, თუ როგორ იყო დაგეგმილი უწყვეტი შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესი, რომელიც განსაზღვრავს კრიზისებისთვის მზადყოფნის ხარისხს, მზაობას შესთავაზოს სტუდენტს ალტერნატიული სწავლება და უზრუნველყოს იგი მხარდაჭერის მექანიზმებით.

აღნიშნული გამოწვევები კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის აღქმის ცვლილება. საქართველოში საგანმანათლებლო პროგრამების წარმომადგენლებთან ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ საშუალება მოგვცა გავვეზომა ზემოაღნიშნული სამი ძირითადი ელემენტი არსებული პროგრამებისთვის და

³ Cai WeiWei and Sankaran Gopal “Promoting Critical Thinking through an Interdisciplinary Study Abroad Program”, 2015.

⁴ Parnes Marie and Pagano Maria “Infant Child Development: From Conception Through Late Childhood”, 2022.

⁵ Albach, P., Hopper, R., Psacharopoulos, G., Bloom, D., Rosovsky, H., “The Task Force on Higher Education and Society”, 2004.

⁶ Parker, M., “Shut Down the Business School: What's Wrong with Management”, 2018.

⁷ All Answers Ltd. Criticisms of MBA Degree: Modified Model of Professional Education. 2018.

გამოვეკვეთა ხარვეზები და გაუმჯობესების გზები. მონაწილეებისთვის დასმულ კითხვებს შორის, გამოკვლეული იქნა გრძელვადიანი წარმატებისა და მდგრადობის აღქმის ხედვა და არსებული პროგრამის სტრუქტურის გავლენა პროგრამის მდგრადობაზე; კრიზისების მართვის გამოცდილების და უკუკავშირის პრაქტიკის გავლენა პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

სტატია ამტკიცებს, რომ ცვლილების განხორციელების ერთ-ერთი გზა იმ მეტაფორების შეცვლაა, რომელსაც ვიყენებთ ზოგადად განათლების ასევე მაგისტრის და ბაკალავრიატის კონკრეტულად აღწერისას. მიგვაჩნია, რომ მეტაფორები გამყარებულია კოლექტიურ არაცნობიერში რაც არ იძლევა საგნის სხვაგვარად დანახვის საშუალებას⁸. როდესაც საგნები სხვა კუთხით განიხილება, ბევრი ახალი აზრი იბადება. ამრიგად, მეტაფორების გამოყენება არის გონების ფუნდამენტური მექანიზმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ის, რაც ვიცით ჩვენი ფიზიკური და სოციალური გამოცდილებიდან, რათა შევძლოთ სხვა უამრავი საკითხის გაგება. ჩვენ იმდენად კარგად ვიცნობთ ზოგიერთ მეტაფორას, რომ მათ თითქმის არ ვამჩნევთ⁹. მოცემულ ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ იმ მეტაფორის არჩევანზე, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს ახალ საგანმანათლებლო პროგრამას.

მეთოდოლოგია

კვლევისათვის შეირჩა თვისებრივი კვლევა, როგორც ყოვლისმომცველი მიდგომა იმის საკვლევად, თუ როგორ არის შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები მსოფლიოში და ასევე საქართველოში. იგი განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილ ორგანულ სისტემების სტრუქტურებს. ინტერვიუები ჩატარდა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის ხელმძღვანელებთან, რომლის მიზანი იყო სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულების და დინამიკის გამოვლენა და იმის განხილვა, შეიცავენ თუ არა ისინი სიცოცხლისუნარიანობის პრინციპებს. ამ მეთოდოლოგიამ შესაძლებელი გახადა შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები შრომის ბაზრის სპეციფიკურ კონტექსტში განხილულიყო და გაზომილიყო მათი ორგანული ხასიათი და სიცოცხლისუნარიანობა.

ინტერვიუების დროს დისკუსია ოთხ კატეგორიად იყო სტრუქტურირებული: ჩვენ შევისწავლეთ გრძელვადიანი წარმატებისა და მდგრადობის აღქმის ხედვა და მისი წვლილი; არსებული პროგრამის სტრუქტურის გავლენა პროგრამის მდგრადობაზე; კრიზისის მართვის წინა გამოცდილების გავლენა პროგრამების მდგრადობაზე; და უკუკავშირის პრაქტიკა და როლი უწყვეტი გაუმჯობესების მექანიზმების ჩამოსაყალიბებლად.

ინტერვიუები მოიცავდა არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლას, რომელიც უზრუნველყოფდა პროგრამის სტრუქტურის ჰოლისტიკურ მიდგომას, მეთოდოლოგიის სიღრმისეულ ანალიზს და ორგანული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სტრუქტურის შესწავლას. რესპონდენტებმა განიხილეს პროგრამების სტრუქტურები და მათი ორგანული ბუნება, გამოვლენილი იქნა გამოწვევები.

პირველადი მონაცემთა შეგროვების სამაგიდო კვლევის შედეგად შეგროვილი ინფორმაციით შეიქმნა ფართო სპექტრი, შემდგომი დეტალური ინფორმაციის მოსაპოვებლად. კერძოდ იმაზე, თუ როგორ იგეგმება საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოში და მთელ მსოფლიოში. სხვადასხვა პრაქტიკის შეგროვებამ და მეტაფორების გამოყენებამ ხელი შეუწყო პერსპექტივების და გამოცდილების აღქმას

⁸ Reinders, D., "The role of analogies and metaphors in learning science", 1991.

⁹ Lakoff George & Johnson Mark "Metaphors we live by", 2003.

აკადემიური პროგრამების სტრუქტურირების პროცესში. პროგრამის კვლევების წარმატების ფაქტორებზე დაკვირვებამ ხელი შეუწყო გადაწყვეტილების მიღების ტენდენციების გამოვლენას საგანმანათლებლო ინდუსტრიაში.

კვლევაში გამოყენებული მეორადი მონაცემები მოიცავს აკადემიურ ლიტერატურას და წინამდებარე კვლევების შესწავლას, რომლებიც უზრუნველყოფენ შესასწავლი თემის მყარ და ფართო გაგებას. ორგანული პროგრამის სტრუქტურის ნიმუშად ასევე განხილული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებული ისტორიებიც.

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების მიზანმიმართულმა შერჩევამ უზრუნველყო ზოგადი ინდუსტრიის შერჩეული პროგრამების განსაზღვრა, გათვალისწინებული იქნა ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ზომა, საბაზრო პოზიცია. პროგრამების შედარების გზით, საშუალება მოგვეცა მიგვეჩნია, რომ შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამები შესასწავლი მიზნებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა.

შეგროვებული მონაცემებს ჩაუტარდა თემატური ანალიზი, სისტემურმა მიდგომამ საშუალება მოგვეცა გამოგვევლინა ტენდენციები, თემები და შაბლონები, რაც იძლევა საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურული მახასიათებლების შესახებ დასკვნების გამოტანის საშუალებას.

მონაწილეობაზე და ინტერვიუებში გამოვლენილ ინფორმაციის გამოყენებაზე მიღებული იქნა ინფორმირებული თანხმობა მონაწილე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისგან. უზრუნველყოფილი იყო მათი ნებაყოფლობითი მონაწილეობა, ასევე კონკრეტული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.


კვლევის შეზღუდვა მდგომარეობს მის განზოგადებაში ბიზნეს საგანმანათლებლო პროგრამების მიღმა, სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე განზოგადებისას, შეიძლება აღმოჩნდეს გარკვეული შეზღუდვები შერჩეული სფეროს კონტექსტის უნიკალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

1. მეტაფორების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის ახსნა

საგანმანათლებლო პროგრამის აღქმის შეცვლის ერთ-ერთი გზა არის იმ მეტაფორების შესწავლა, რომლებიც გამოიყენება მათ გასაზრცელებლად. ნაშრომში გამოყენებულია სამი მეტაფორა: ცოდნა, როგორც საქონელი, მანქანა და ორგანული მეტაფორა.

2.1. ცოდნა, როგორც საქონელი

განვიხილოთ სადავო საკითხს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ, რაც გულისხმობს, რომ ცოდნა მისი შემქმნელის საკუთრებაა. ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ ცოდნის გადაცემაზე, რომელიც შენახულია ცოდნის საცავში. ეს მიდგომა განიხილავს მეტაფორას „ცოდნა, როგორც საქონელი“. ამ იდეას ვრცელი და ბრწყინვალე ისტორია აქვს, რომელიც ცნობილია „ოსტატი ხელოსნის“ კონცეფციით, რომლის საფუძველზეც ახალბედებს ასწავლიდნენ. ეს გახლდათ ეფექტური დახმარების გზა, რათა მოსწავლეები გამხდარიყვნენ კომპეტენტურები და ჰქონოდათ უნარების ნაკრები რათა არსებობისთვის გამოემუშავებინათ საჭირო შემოსავალი. პროცესი ნაჩვენებია ქვემოთ პირველ გრაფაში, სადაც სხვაობა ასახავს ცოდნის გარკვეულ განსხვავებას მიმწოდებელსა და მიმღებს შორის. შუალედური არეალის ზომა განსაზღვრავს იმ ოდენობას, რისი გადაცემა შეიძლება, რომელიც შემდეგ გაიცემა შერჩეული სტრატეგიით. გადაცემა მიმღების ცოდნის გაზრდით ამცირებს ამ დაშორებას. პროცესი თეორიულად გრძელდება მანამ, სანამ განსხვავება ნულის ტოლია და მიმღები არ მიაღწევს ცოდნის ანალოგიურ დონეს.



ფიგურა 1: ცოდნა როგორც საქონელი

ეს პროცესი ბევრ კრიტიკას იწვევს. ის უპირველეს ყოვლისა მოიცავს კითხვას „როგორ“ - როგორ აკეთებს ადამიანი რაღაცას. კურსდამთავრებული ვალდებულია იყოს წარმატებული მაღალტექნოლოგიურ სამყაროში რომელშიც იგი ცხოვრობს, მაგრამ ჰომო საპიენსი არის სოციალური არსება, რომელსაც ასევე სჭირდება გარემოსთან ასიმილაცია იქნება ეს პიროვნული, ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული თუ გლობალური გარემო. ამ ასიმილაციის განსახორციელებლად კურსდამთავრებულს საჭიროა ჩამოვუყალიბოთ ტენდენციებზე მორგებული უნარები. ამრიგად ხელოსნის მიერ ოსტატის აღზრდის პროცესი ეფექტური იყო. ამ პროცესში შეგირდი ეუფლებოდა დადასტურებულ უნარებს და პროცედურებს, რომელიც დროთა განმავლობაში შესამჩნევად არ იცვლებოდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი კითხვაა „რატომ?“. რა არის იმის მიზეზი, რასაც ვაკეთებთ? ეთიკურია? მორალურია? ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ ცოდნის სამი ტიპი: - savoir - faire (რაც არის ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ რამე), savoir-etre (რომელიც კონცენტრირებულია მიზეზებზე, თუ რატომ ვაკეთებთ რამეს) და savoir-vivre (რაც არის ცოდნა იმაზე, თუ როგორ ვიცხოვროთ)¹⁰. პირველ გრაფაში ნაჩვენებია პროცესი იდეალურია სავოარ-ფეირისთვის, მაგრამ არ მუშაობს დანარჩენ ორზე. მეორე და მესამე კითხვაზე პასუხი არ შეიძლება წარმოიშვას ამ ტიპის სწავლებიდან. იგი უნდა წარმოიშვას მოსწავლის გონებაში, რაც მოითხოვს მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის გააზრებას.

კრის არგირისის ნამუშევარი („ორმაგი მარყუჟის სწავლა“) მჭიდროდ უკავშირდება savoir-etre-ისა და savoir vivre-ის სწავლებას. მეორე გრაფაში ნაჩვენებია უკუკავშირის ციკლი შეესაბამება პირველ გრაფაში აღწერილ პროცესს, მაგრამ ამავდროულად უნდა განვიხილოთ ის, რომ არსებობს ძირითადი მოთხოვნილება გვეჯეროდეს ის, თუ რატომ არის ყველაფერი ისე, როგორც არის (ჩვენი კულტურა). ჩვენს ირგვლივ სამყაროს გაგების სურვილი მყარდება ინფორმაციით და გამოცდილებით.


ფესტინგერი განიხილავდა, რომ არსებობს განსხვავება იმას შორის, რისიც გვწამს სინამდვილეში და რისიც უნდა გვწამდეს¹¹. ეს ცნობილია როგორც „კოგნიტური დისონანსი“¹². იგი მოიცავს გარკვეულ სოციალურ ზეწოლას, რომელიც გვაიძულებს გავყვეთ როგორც ბრბო. ფესტინგერის აზრით, ორმაგი მარყუჟის სწავლა არის პროცესი, რომელიც ცდილობს გამოავლინოს რეალური რწმენები და მათზე დაყრდნობით შექმნას მეორე უკუკავშირის მარყუჟი, რომელიც ნაჩვენებია გრაფაში, სადაც განვიხილავთ საგანმანათლებლო კონტექსტს. ცოდნის კონსტრუქტივისტული თეორიის შესაბამისად ორგანიზაციული კულტურა დიდ როლს თამაშობს ნებისმიერი ტიპის სწავლებაში¹³.

¹⁰ Erickson Lars, Berka Sigrid, Perez-Ibanez Inaki., Tracksdorf Niko, La Luna Michelangelo, “Using Byram’s Five Saviors to Measure the Development of Intercultural Competence in Covid-19 Era During an Engineering Sojourn Abroad”, 2021.

¹¹ Argyris, C., “Teaching Smart People How to Learn”, 1991.

¹² Festinger, L., “A Theory of Cognitive Dissonance”, 1957.

¹³ Freeman Linton C. “Centrality in Social Networks”, 1978.



ფიგურა 2: ორმაგი მარყუჟის სწავლება

შემდეგი კრიტიკა ცოდნის ტრანსფერის სტრატეგიას ეხება. პირველი გრაფიკის თანახმად პროცესი ითვალისწინებს ხისტ, განცალკევებულ მიმოცვლას, მასწავლებელ-მოსწავლეს, ოსტატი-შეგირდს, პროფესორ-მოსწავლეს შორის¹⁴. რამდენად მკაცრი და მკაფიოა ცოდნის დონეებს შორის განსხვავება? როგორც წესი მასწავლებელს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ექსპერტული ცოდნა ვიწრო სპეციალიზაციით, მაგრამ სხვა სფეროებში სტუდენტმა შეიძლება იცოდეს მასზე მეტი. ლექტორი და სტუდენტები ერთმანეთისგან სწავლობენ. განხილული დიქოტომიის თანახმად ხდება ფაქტების გადაცემა. მაგრამ რა არის ფაქტი? ფაქტი (ლათინური „factum“ ნიშნავს „შესრულებულია“, „დასრულებულია“-ს) ითვლება ჭეშმარიტად და არ შეიძლება იყოს მუდმივი. ფაქტი გახლდათ ის, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრია. ახლა ის არის პლანეტა, რომელიც მზის გარშემო ბრუნავს, შეიცვალა ცოდნა მიმდებარის მიერ. სხვადასხვა საზოგადოება თანხმდება იმაზე, თუ რომელი ფაქტი უნდა იყოს სანქცირებული და რომელი არა. ამიტომ უფრო მკაფიოდ უნდა განისაზღვროს „ფაქტი“ და გაიმიჯნოს იგი სოციუმის მიერ წარმოშობილი ხედვისგან, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს ასაკის, კულტურის, და ქვეყნების მიხედვით.

შესამჩნევია პროგრესი ღრმა სწავლისა და ინტელექტუალური ალგორითმების შექმნის მიმართულებით. ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით, ახლა უკვე შესაძლებელია დიდი რაოდენობით მონაცემების შენახვა. ეს არის „ცოდნის, როგორც საქონლის“ შესანიშნავი მაგალითი. შესაძლებელია შეიქმნას საძიებო სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ მოიძიონ განსაზღვრული ნიმუშები, რომელსაც ეწოდება „ღრმა სწავლა“¹⁵. შეიძლება შაბლონებზე დაკვირვება და, ამის საფუძველზე, პროგნოზების გაკეთება. ნერვული ქსელების განვითარებით მანქანური სწავლების ამ სფეროს მთავარი სარგებელი მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ეს პროცესი ასახულია პირველ გრაფაში.

ვიმეორებთ პირველ გრაფაში ნაჩვენებ პროცესს. ის წარმოიშვა ჰების სწავლებიდან, სადაც სწავლა განისაზღვრა, როგორც ტვინში არსებული ნერვული კავშირები, რომლებიც ჩნდება მოცემული სტიმულის საპასუხოდ. სწავლა აძლიერებს ამ კავშირებს. ნერვული ქსელის პროგრამული უზრუნველყოფა გადასცემს ამ პროცესს კომპიუტერს¹⁶. ისმება კითხვა: არის თუ არა ეს განათლების მომავალი?

კურსდამთავრებულმა, რა თქმა უნდა, უნდა იცოდეს, როგორ გამოიყენოს გარკვეული ტექნიკები. შესაბამისად გრაფაში მოცემული პროცესი სასარგებლოა და არ ვგულისხმობთ მის ამოღებას. რასაც ჩვენ ვამბობთ არის ის, რომ თავისთავად ეს არ არის საკმარისი, რადგან ეს არ უზრუნველყოფს გააზრება-გაგებას. როდესაც კურსდამთავრებული ახალი პრობლემის წინაშე დგება, საკმარისი არ არის იმის ცოდნა, თუ როგორ წყდებოდა პრობლემები წარსულში, რომელმაც შეიძლება ვერ დაგვანახოს გამოსავალი მომავალში.

¹⁴ Omilion-Hodges Leah M., Wieland Stacey M.B, “Unraveling the Leadership Dichotomy in the Classroom and Beyond”, 2016.


¹⁵ Smith, T., Colby, S., “Teaching for Deep Learning”, 2010.

¹⁶ McClelland James L., Thomas Adam G., McCandliss Bruce D., Fiez Julie A., “Chapter 5: Understanding Failures of Learning: Hebbian Learning” 1999.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უნდა იყოს ისეთი კურსდამთავრებულის აღზრდა, რომელიც მიჩვეულია დამოუკიდებლად ფიქრს და რომელსაც შეუძლია სიღრმისეულად შეისწავლოს საკითხი, რომელიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან, სწორედ ამას ემსახურება ახალი მეტაფორა.

2. კვლევის შედეგები - ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

შევარჩიეთ ორგანული მეტაფორა მისი ბუნებიდან გამომდინარე, თუმცა დარჩა გადასაწყვეტი პროგრამის სტრუქტურა¹⁷. პირველი მოდელი, რომელიც ჩვენ ვცადეთ, ნაჩვენებია მესამე გრაფაში. სტრუქტურა წაგავს კლასიკურ ბერძნულ ტაძარს, რომელიც განთქმულია თავისი ელევანტურობითა და ესთეტიკური მიმზიდველობით. ტაძარი აგებულია მყარ საძირკველზე და აქვს ძლიერი სვეტები შენობის საყრდენად. ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამა დავაფუძნეთ სისტემური აზროვნების საყრდენს. ხარისხის ორი გარანტორი კი (ორგანიზაციული განვითარება და ოპერაციული ბრწყინვალება) მყარად მივამაგრეთ ამ ბაზაზე, როგორც დამჭერი სვეტები, რომლებიც გაჯერებულია დანარჩენი კურსებით. სტრუქტურა მყარია და გადმოსცემს უძველესი სიბრძნისა და მუდმივობის შთაბეჭდილებას, ამ სტრუქტურით ვფიქრობთ შეიქმნება საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დიდი ალბათობით დროს გაუძლებს.



ფიგურა 3: კლასიკური მეტაფორა

მაგრამ ამ სტრუქტურის კრიტიკაც შესაძლებელია. სტრუქტურა აშენებულია იმისთვის, რომ იყოს მყარი და გააგრძელოს არსებობა ეს არის ამ სტრუქტურის ერთადერთი დანიშნულება. კრიტიკოსების აზრით იგი შთამბეჭდავია, აღფრთოვანებული ვრჩებით დიზაინით და არა მისი არსებობის მიზეზით. თუ დღეს პარტენონს დავაკვირდებით, ის მისი ყოფილი მე-ს ჩრდილია, რადგან ვერ უძლებს დროს, მაგრამ იმის გამო, რომ სტრუქტურა ჯერ კიდევ დგას, შეიძლება შეფასდეს მისი სილამაზე, მაშინაც კი, თუ ის აღარ ასრულებს ძველ ფუნქციას წარმოქმნას ის შიში და საოცრების შეგრძნება რომლისთვისაც იგი შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ დროის მასშტაბები განსხვავებულია, ეს კრიტიკა შეიძლება გამოყენებული იქნას ჩვენი პროგრამისთვის ამ სტრუქტურის გამოყენების შემთხვევაში. სწავლების პროგრამის განხორციელების პროცესში ჩვენ განვიხილეთ გარკვეული სირთულეები ორ ეტაპად, რომლებიც გავითვალისწინეთ სტრუქტურაში არაერთგვაროვნად. შედეგად დავასკვნით, რომ ამ ორი საყრდენის არაერთგვაროვნად ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ბალანსის დარღვევა და უფრო მეტიც, სტრუქტურის განადგურება. დიახ, ჩვენ გვინდოდა სიმყარე, თანმიმდევრულობა და სარგებლიანობა,

¹⁷ Maisuradze, T., “The Importance of Metaphor”, 2023.

მაგრამ მოცემული ხისტი, სტატიკური სტრუქტურით ის შეუძლებელი აღმოჩნდა. სტრუქტურას არ აქვს ბუნებრივი ზრდის შესაძლებლობა. უფრო მეტიც, თუ ეს სტრუქტურა მოხდება გარემოს შოკების ზემოქმედების ქვეშ, ის ადვილად დაიშლება. მას არ აქვს თანდაყოლილი უნარი დააბალანსოს ზრდა, ისწავლოს ან განვითარდეს თანდათანობით. იმისათვის, რომ იგი გადარჩეს სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში და არ დაიშალოს, სტრუქტურა უნდა იყოს ერთნაირად მოქნილი და ადაპტირებადი.

კვლევის ფარგლებში სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარდა ინტერვიუები, რომლის მიზანი იყო სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულებებისა და დინამიკის გამოვლენა. ასევე გამოვიკვლიეთ იყო თუ არა გათვალისწინებული სტრუქტურაში სიცოცხლისუნარიანობის ელემენტები. რესპონდენტებმა განიხილეს პროგრამების სტრუქტურები და მათი ორგანული ბუნება, რის საფუძველზეც მივიღეთ გარკვეული გამოწვევები.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა სამი ძირითადი გამოწვევა, რომელიც შესაძლო საფრთხეს შეუქმნის პროგრამის ორგანულ სტრუქტურას. რესპონდენტებმა პირველ რისკად დაასახელეს პროგრამის მყარი საფუძველი, რომელზედაც პროგრამა უნდა აშენდეს. უმეტეს შემთხვევაში საფუძველი უზრუნველყოფილია იმ დისციპლინების ძირითადი ცოდნით, რომელიც ისწავლება პროგრამის პირველ სემესტრში, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს ცოდნა არ არის საკმარისი მყარი საფუძვლის შესაქმნელად. რესპონდენტების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა უფრო მეტად უნდა ფოკუსირდეს აზროვნების საფუძვლებზე, რომ სტუდენტს მიეცეს საშუალება ჩამოყალიბდეს სფეროს სისტემური გაგება.

მეორე გამოწვევა სწავლების პროცესის დროს გამოვლინდა, როდესაც შევისწავლეთ საუკეთესო პრაქტიკებისა და მაგალითების სწავლების პროცესი ცვალებად ბიზნეს გარემოში. ზოგიერთმა პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საუკეთესო პრაქტიკის სწავლება უნდა მოხდეს, მაგრამ ამ საუკეთესო პრაქტიკის სარგებელი საეჭვოა. მომხმარებელთა მოთხოვნის, ინდუსტრიისა და ტენდენციების მუდმივი ცვლილების გამო, საუკეთესო პრაქტიკის სწავლებამ შეიძლება სტუდენტს არ მისცეს მყარი საფუძველი სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

მესამე გამოწვევად ხაზგასმული იყო ის, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ ოპერაციული სრულყოფილება დინამიურ და ცვალებად სამყაროში. საგანმანათლებლო პროგრამის წინაშე დგას დილემა ან ასწავლოს მყარი მიღებული ცნებები და ტრადიციული მიდგომები, ან ინოვაციური და კრეატიული მიდგომები, რომლებიც საბოლოოდ არღვევს ორგანიზაციის კარგად ჩამოყალიბებულ პოლიტიკას.

აუცილებელია ცოდნისა და აზროვნების გამოყენების გარკვეული ბალანსი. ასევე ბალანსის დაცვა სტრუქტურასა და ოპერაციებში სრულყოფილებას შორის. მიგვაჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უნდა საჭიროებდეს მუდმივ განვითარებასა და ცვლილებებს, კლასიკური ტაძრის მეტაფორის გამოყენება კი რისკის ფაქტორს წარმოადგენს.

3. ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შემუშავებული განახლებული სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა თუ როგორ შეიძლება გახდეს არსებული საგანმანათლებლო პროგრამები სიცოცხლისუნარიანი და ასევე გაგვესაზღვრა ის ფაქტორები, რომლებიც საშუალებას მისცემს პროგრამას გახდეს ორგანული. პირველ

რიგში, შესწავლილი იქნა გრძელვადიანი წარმატებისა და მდგრადობის ხედვა და ის თუ როგორ შეუწყობს ეს ხელს პროგრამას; მეორეს მხრივ, არსებული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის გავლენა პროგრამის მდგრადობაზე; მესამეს მხრივ, განხილული იქნა წინა კრიზისების მართვის გამოცდილების გავლენა პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად. გადაიხედა კოვიდ პანდემიის შედეგად ონლაინ სწავლების გამოცდილება და არსებულ პროგრამებში საჭირო ცვლილებები, ასევე შეფასდა პანდემიის დროს სწავლის შედეგები. და ბოლოს, პროგრამების წარმომადგენლებმა შეაფასეს უკუკავშირის და უწყვეტი გაუმჯობესების მექანიზმების პრაქტიკა და მისი როლი პროგრამის გაძლიერებაში.

ამის საფუძველზე შევიმუშავეთ ბუნებასთან მიახლოებული მეტაფორა. ბუნებაში ყველაფერი მზებზეა დამოკიდებული. მზე აწვდის ენერჯის ნაკადს მცენარეებს, წყალმცენარეებსა და ბაქტერიებს, რომელთა უჯრედები ასინთეზირებენ ორგანული ნივთიერებების ძირითად ერთეულებს, რომლებზეც დამოკიდებულია დანარჩენი კვების ჯაჭვი. ოპერაციული ბრწყინვალება შეიძლება განისაზღვროს მრავალი კონკრეტული გზით, მაგრამ ზოგადი მნიშვნელობა ნათელია - ის ცდილობს გააუმჯობესოს ინდივიდი, ორგანიზაცია, დიზაინი, გუნდი. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა მზე ოპერაციული ბრწყინვალების სიმბოლოდ. ამ ანალოგიის გამოყენებით, ჩვენ ვმორდებით წინასწარ განსაზღვრულ ჭეშმარიტებას და საბოლოო წერტილად არ განვიხილავთ დასასრულს, არამედ ვმოგზაურობთ გამოცდილებით, თეორიებითა და პრაქტიკებით და ვხედავთ ჰორიზონტს. სრულყოფილებისთვის საჭირო ცვლილების განხორციელებით ჩვენ მივიღეთ პროცედურებსა და სტრუქტურას შორის დისბალანსი. ჩვენ მივიჩნევთ სისტემურ აზროვნებას ხარისხის საფუძვლად როგორც ნიადაგს, რომელშიც ხარისხს შეუძლია ფესვის გადგმა. ამით შეიქმნება საფუძვლიანი ცოდნის გამოყენებისა და სისტემური აზროვნების უნარები და კურსდამთავრებულებს მუდმივად შეეძლებათ სწორი გადაწყვეტილებების მიღება ცვალებად ბიზნეს გარემოში.


ანალოგიისთვის გამოვიყენეთ მზესუმზირა. მზესუმზირის თავი ყოველთვის მზისკენ მიბრუნდება და, ამრიგად, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პროგრამა ყოველთვის სრულყოფილებისკენ მიიღწვის. ეს არის მისი მიზანი და გზა. ნიადაგი წარმოადგენს სისტემურ აზროვნებას და სწორედ აქ არის ჩარგული საგანმანათლებლო პროგრამა. მისი ფესვები მისი ორგანიზაციული სტრუქტურაა. ეს აზრი პირველად შემოგვთავაზა პიტერ სენგემ 1990-იან წლებში¹⁸. პროგრამის სტრუქტურაში სიახლეა ის, რომ შეიქმნება სასწავლო ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს პოლიტიკის მსაზღვრელებს, ტოპ მენეჯმენტს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და ბიზნესმენებს. სასწავლო ორგანიზაცია კონცენტრირებულია მისი ყველა წევრს შორის საერთო ხედვის ჩამოყალიბებაზე - ჩვენს შემთხვევაში, ეს არის სრულყოფილებისაკენ სწრაფვა არსებული გონებრივი მოდელების გაზიარებით, ასევე შესაბამისი უნარების გამომუშავებით. ის ასევე აქტიურად უწყობს ხელს გუნდურ სწავლებას. შეიქმნება ცოდნის საცავი, სადაც არსებული ცოდნა ინახება ყველა პერსონალის წვდომისათვის. ახალი ცოდნისა და პრაქტიკის მოძიებას და მათი ჩართვა მოხდება ამ საცავში.

ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამას ექნება ცოდნის მართვის საკუთარი სისტემა, სადაც მთელი ცოდნა და ინოვაცია დაინერგება პროგრამის სტრუქტურაში. თუ გუნდის წევრები შეიცვლებიან ან დატოვებენ პროგრამას, ცოდნა რჩება და პროგრამის კულტურა გავრცელდება. ამ გზით, პროგრამა შეინარჩუნებს თავის იდენტობას და შეეძლება "გაზრდა". ამ თვალსაზრისით, მას შეიძლება ეწოდოს ორგანული. სწორედ ის ფაქტი, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია, როგორც ასეთი სასწავლო ორგანიზაცია, მას

¹⁸ Senge, P., M., "The Fifth Discipline: The Art & Practice of The Learning Organization", 2006.

ანიკებს გამორჩეულ, უნიკალურ იდენტურობას. მზესუმზირა ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამის მეტაფორაა, სადაც სტრუქტურა იზრდება, სწავლობს და ვითარდება.


ნიადაგს სჭირდება მოვლა და ყურადღება. მეურნეობის ან ორგანული ანალოგის გასაგრძელებლად. ამ პროცესის გასაგრძელებლად აუცილებელია სასუქები, მეურნეობის მონოკულტურებით გაჯერება ჩვენს შემთხვევაში დამატებითი არჩევითი საგნებით მოხდება. ქიმიკატების გადაჭარბებულმა გამოყენებამ ნიადაგი შეიძლება გაანადგუროს. საჭიროა ბუნებრივი ბალანსი. ჩვენს მზესუმზირის მოდელში სასუქის მნიშვნელობა აღიარებულია, მაგრამ იგი უზომო არ უნდა იყოს. არჩევითი კურსები აკადემიური და მოწვეული პერსონალების გამოცდილებიდან და სტუდენტების გამოხმაურებიდან, მათი შეფასებების შედეგად უნდა დაემატოს. ვიყენებთ თვითრეფლექსიური უკუკავშირის მარყუჟს - ნიადაგი უზრუნველყოფს ყვავილის ზრდის საშუალებას, რაც თავის მხრივ აწარმოებს ნიადაგის სასუქს, ეს კი ჭეშმარიტად ორგანული მეტაფორაა.



ფიგურა 4: მზესუმზირის მეტაფორა

განვასხვავებთ სიტყვებს რეფლექსი და რეფლექსურობა. რეფლექსი არის პასუხი სტიმულზე, რომელიც აღწერილია პავლოვის ნაშრომებში. ეს არის მექანიკური პროცესი და განათლებაში შეესაბამება ზემოთ ნახსენებ ჰების სწავლებას. რეფლექსურობა არის შეგნებული აქტივობა, სადაც ადამიანი ფიქრობს იმაზე, თუ რა მოხდა და როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება. სტუდენტს ვურჩევთ, აიღოს პასუხისმგებლობა თავის სწავლაზე, იმის ნაცვლად, რომ დაელოდოს მის გადაცემას. ეს არის თვითმოტივაციის ელემენტი. ჩვენს საგანმანათლებლო პროგრამაში წახალისებულ პროცესს კაიზენი ჰქვია. (იხ. გრაფა მეხუთე) კაიზენი ტოიოტას მართვის მიდგომაა, სადაც კომპანია ხელს უწყობს „უწყვეტ გაუმჯობესებას“ რაც ყველა ამოცანის საფუძვლიან შემოწმებას და განსაზღვრას გულისხმობს.

ამ იდეების გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ გრაფაში ნაჩვენები პროცესი შემდეგით:



ფიგურა 5: პროცესი

ამ პროცესში, მარცხენა მხარის მარყუჟში ჩანს, რომ მიმღებები იღებენ ცოდნას, როგორც პირველ გრაფაში, მაგრამ განსხვავება არის ის, თუ როგორ აკეთებენ ისინი ამას. ცოდნა არ გადაეცემა, არამედ იგი გააზრების შედეგია. სტუდენტს შეუძლია მიიღოს დახმარება გარედან ლექციებზე ბიზნესიდან საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებით და გამოქვეყნებული ლიტერატურიდან, მაგრამ საჭიროა თვითდახმარება, თვითრეფლექსია, თვითმოტივაცია და განსაკუთრებით პრაქტიკით სწავლა.

დასკვნა

მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში იმატა საგანმანათლებლო დაწესებულებმა, რომლებიც იზიარებენ ლიბერალური განათლების იდეას და ქმნიან საგანმანათლებლო სისტემებს, რომელიც მორგებულია ცვალებად პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოზე. ეს საგანმანათლებლო პროგრამები ხასიათდება ადაპტირებული სწავლების შეფასების სტრუქტურებითა და მეთოდებით. განვითარებად დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, ლიბერალური განათლება ქვეყნის განვითარების შესაძლებლობას იძლევა, რადგან ის ითვლება „კრიტიკული და ჩართული მოქალაქის განვითარების გზად“¹⁹²⁰. ამ ტიპის განათლება უზრუნველყოფს ისეთი სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რომელიც მომზადებულია როგორც კონკრეტული დისციპლინის ძირეული და ტექნიკური ცოდნით, ასევე აღჭურვილია ლიდერობის, შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების უნარებით. ეს უნარები კი ხელს უწყობს მიმდინარე სოციალურ განვითარებას და უყალიბებს საჭირო ეთიკურ უნარებს.

კვლევა მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლას, მათ შესაძლო რეაგირებას ცვალებად გარემოში და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მდგრადი საგანმანათლებლო პროგრამების შესაქმნელად. ჩვენ გვჯერა, რომ მდგრადი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურირების სწორი მეტაფორით განმარტება საშუალებას მისცემს საგანმანათლებლო პროგრამის შემქმნელებს ჩამოაყალიბონ ის სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიანობას და მის გადარჩენას. კვლევის შედეგად მიღებულია ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროგრამების გამძლეობაზე და პროგრამების ამჟამინდელ სიცოცხლისუნარიანობაზე გაუმკლავდნენ ცვლილებებს. შემდეგომ მათი მდგრადობის

¹⁹ Altbach, P., G., Reisberg Liz, Rumley Laura E., “Trends in Higher Education, Tracking an Academic Revolution”, A Report Prepared for the UNESCO 2009 World Conference on Higher Education, SIDA/SAREC, 2009.
²⁰ Maisuradze, T., The Importance of Metaphor, 2023.

უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ პროგრამების შემქმნელებისთვის ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები პროგრამის შესაძლო სტრუქტურის შესახებ.

კვლევის შედეგად შემოთავაზებული სტრუქტურა ექვეყნეშ აყენებს „ფაქტების გადაცემის“ კონცეფციას. შეიძლება შევადაროთ სიმებიან კვარტეტს სადაც ოთხი ინსტრუმენტია, თითოეულს განსხვავებული ხმა აქვს, რაც დამოკიდებულია ტემბრზე, ზომაზე, მდგომარეობაზე და დამკვრელის შესაძლებლობებზე. კომპოზიტორი ახდენს მათ შერწყმას ერთი შედეგის მისაღებად, რომელიც ჰარმონიული და სავარაუდოდ ლამაზი ჟღერადობისაა. ამრიგად, „სწავლის პროცესი“ შეიძლება ჩაითვალოს კონცერტისთვის რეპეტიციად, ხოლო კარგი მასწავლებელი, რომელიც ქმნის კომპოზიციას გთავაზობს ახალ პროდუქტს, კონცერტს. სხვადასხვა გარემოებებისათვის საჭიროა სხვადასხვა მიდგომა, არ არსებობს უნივერსალური მიდგომა, ამიტომ სასწავლო პერსონალი შეირჩევა მოქნილობისა და მზრუნველობის უნარის მიხედვით. ანალოგიურად, თითოეული სწავლების პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ ვეყრდნობით გარკვეულ დისციპლინებს არის განსხვავებული. ვიზუალურად ეს ნაჩვენებია მეოთხე გრაფაში. შეფასების მექანიზმები, რომლებიც გათვალისწინებულია სწავლების პროცესში, საშუალებას აძლევს სტუდენტებს და ლექტორებს რეფლექსიის მეშვეობით შექმნან შემდგომი კურსებისთვის საჭირო ცოდნის საცავი და შეცვალონ სწავლების არსებული ელემენტები. პროგრამა ბუნებრივად ახდენს დაბალანსებას და სწორედ ეს აძლიერებს მის სიცოცხლისუნარიანობას.

ჩვენს მიერ განხილული ტიპის საგანმანათლებლო პროგრამის შემქმნელმა ჯგუფმა უნდა გამოიკვლიოს, თუ როგორ შეძლებს პროგრამის უპირატესობების სწორი კომუნიკაცია. განხილული ორი მეტაფორის გამოყენებით. ჩვენს პრაქტიკულ მაგალითზე პროგრამის ერთი წლის განხორციელების შედეგად პრიორიტეტი მზესუმზირის მეტაფორას მივანიჭეთ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მეტაფორა შეეფერება პროგრამის იდენტობას და გადმოსცემს მის არსს უფრო ღრმა დონეზე, ვიდრე უბრალოდ სიტყვები. ჩვენს მიერ შემოთავაზებული პროგრამის მოდელის წარმატება დამოკიდებულია თვით პროგრამის უწყვეტ განვითარებაზე, შესაბამისად პროგრამის განვითარების პროცესი, ერთი მხრივ, მოიცავს საერთაშორისო ექსპერტების დაწყვილებას ადგილობრივ ლექტორებთან და უახლესი მიღწევების გაცვლას დარგებში და ტენდენციებში, ხოლო მეორე მხრივ, ბიზნესის ჩართვას სასწავლო პროცესში, რათა მოხდეს თითოეული სასწავლო მიმართულების განვითარება და ბაზრის ცვლილებების ინტეგრირება. გთავაზობთ სტრუქტურას, რომელიც ბუნებრივად ვითარდება, ემორჩილება ცვლილებებს და მისწრაფვის სრულყოფილებისკენ, როგორც მზის მიმართ მზესუმზირა, რომ ამგვარი საგანმანათლებლო პროგრამა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იყოს სწავლება მორგებული მომავალ საჭიროებებზე.

ბიბლიოგრაფია

1. All Answers Ltd., “Criticisms of MBA Degree: Modified Model of Professional Education”, 2018;
2. Albach Philip, Hopper Richard, Psacharopoulos George, Bloom David, Rosovsky Henry „Trends in Higher Education, Tracking an Academic Revolution”, A Report Prepared for the UNESCO 2009 World Conference on Higher Education, SIDA/SAREC, 2009;
3. Albach Philip, Hopper Richard, Psacharopoulos George, Bloom David, Rosovsky Henry. “The Task Force on Higher Education and Society”, Comparative Education Review, 2004;
4. Apple, Michael W., “Markets, Standards, Teaching, and Teacher Education”, Journal of Teacher Education, 2001 182-1956;
5. Argyris Chris. “Teaching Smart People How to Learn”, Harvard Business Review, 1991;
6. Bohm David, “Wholeness and the Implicate Order”, Routledge, 2002;
7. Bradley Steven “Design Principles: Visual Perception and The Principles of Gestalt”, Smashingmagazine.com/articles, 2014;
8. Byrne John, “It’s Official: The M.B.A. Degree Is In Crisis”, 2021;
9. Cai WeiWei and Sankaran Gopal “Promoting Critical Thinking through an Interdisciplinary Study Abroad Program”, Journal of International Studies, Vol 5, Issues 1, 2015;
10. Duit, Reinders, “The role of analogies and metaphors in learning science”. Science Education 75(6) DOI:10.1002/sce.3730750606, 1991;
11. Erickson Lars, Berka Sigrid, Perez-Ibanez Inaki., Tracksdorf Niko, La Luna Michelangelo, “Using Byram’s Five Savors to Measure the Development of Intercultural Competence in Covis-19 Era During an Engineering Sojourn Abroad”, Journal of International Engineering Education, Vol 3, Issues 1, 2021;
12. Festinger Leon. “A Theory of Cognitive Dissonance,” Stanford University Press, 1985;
13. Freeman Linton. C. “Centrality in Social Networks”, Journal of Theoretical Economic Letters, 1978
14. GMAC 2022 https://blog.gmac.com/gmac-advisor/top-3-takeaways-from-gmacs-2022-application-trends-survey?utm_medium=email&_hsmi=239060827&_hsenc=p2ANqtz-_zwBxcKtZgoJc2ILzAspAcXSIRXANbn6o31MupFEmf0556ObxAOZzbtSK9J7iuT3k6Vp5hhhVRPXi8jlr5r2qo-46m6g&utm_content=239060827&utm_source=hs_email [უკანასკნელად გადამოწმდა 20.11.2023];
15. Lakoff, George. & Johnson, Mark. “Metaphors we live by”. 2003 University of Chicago Press;
16. McClelland James L., Thomas A.G., McCandliss B.D., Fiez J.A., “Chapter 5: Understanding Failures of Learning: Hebbian Learning”, Science Direct, 1999;
17. Maisuradze Teona. “Selecting an Appropriate Metaphor for an MBA”, Journal of Applied Business, Vol 15, Issue 2, 2023;
18. Nietzsche, Friedrich. “On Truth and Lie in an Extra-Moral Sense”, 1873;

19. Omilion-Hodges Leah M., Wieland Stacey M.B, “Unraveling the Leadership Dichotomy in the Classroom and Beyond”, Journal of Leadership Education, Vol 15, Issue 1, 2016;
20. Ostrom, Elinor. “A behavioural approach to the rational choice theory of collective action: Presidential address”, American Political Science Association, 1998. American Political Science Review. 92 (1);
21. Parker Martin, “Shut Down the Business School: What's Wrong with Management Education” 2018 Pluto press;
22. Parnes Marie and Pagano Maria “Infant Child Development: From Conception Through Late Childhood”, Pressbooks Directory, 2022;
23. Senge Peter. M., “The Fifth Discipline: The Art & Practice of The Learning Organization”, Harvard Business Review, 2006;
24. Smith Tracy, Colby Susan Colby S. A., “Teaching for Deep Learning”, A Journal of Education Strategies, Vol. 80. Issue 5, 2010.

სამოქალაქო საზოგადოების როლის განსაზღვრა განვითარებად სახელმწიფოებში

მარიამი ბაზერაშვილი
მოწვეული ლექტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

სამოქალაქო საზოგადოება არის პლაცდარმი დემოკრატიული ღირებულებების შესაქმნელად. სამოქალაქო საზოგადოების დეფინიცია გვამცნობს, რომ მისი მთავარი დანიშნულება არის თვითწარმოქმნადი ჯგუფისთვის კონკრეტული საკითხის განვითარება, რაც საბოლოო ჯამში სახელმწიფოს სასიკეთოდ აისახება. საუკუნეების მანძილზე მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობები სხვადასხვა ჭრილში ვითარდებოდა, დღესდღეობით კი, სხვადასხვა სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ მათ ურთიერთკავშირს. საუბარი, ჯერ კიდევ წინა საუკუნის ბოლოს დაიწყო, როდესაც სახელმწიფოები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დასაწყისისთვის დემოკრატიულ სახელმწიფოებს ან დემოკრატიის გზაზე მყოფ სახელმწიფოებს ერთმანეთთან არ უნდა ეომათ. მაგრამ საკითხავია დემოკრატიული ღირებულებები და მისი ფასეულობის არსი როგორ განისაზღვრება. ჩვენ შეიძლება ვსაუბრობთ, რომ მნიშვნელოვანია თანასწორი და თავისუფალი გარემოს შექმნა, თუმცა ამ ყველაფერს მხოლოდ სახელმწიფო ვერ დააწესებს თუ მოქალაქეების გარკვეული თანხმობა და მათი ქმედებები ურთიერთკავშირში არ ებმება. კერძოდ, მოქალაქეებს მიეცათ იმის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში, რომ მიიღონ სხვადასხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც რეალურად, არა მხოლოდ, მათ, კონკრეტულ ჯგუფს დაეხმარება, არამედ სახელმწიფოებც იქონიებს პოზიტიურ ჭრილში გავლენას. დღესდღეობით იქმნება არაერთი გაერთიანება, ყველაზე პოპულარული არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომელთა ძირითად არეალს განსაზღვრას სახელმწიფოს შიგნით მაქსიმალურად ადამიანის უფლებების დაცვა, ინფორმაციული თვალსაზრისით ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა მიმართულებით და ა.შ. უნდა დავამატოთ, ისიც, რომ საკმაოდ მნიშვნელოვან ბიძგს წარმოადგენს სოციუმში არასამთავრობო სექტორი, განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპასა და აშშ-ში. გარდა არასამთავრობო ორგანიზაციების, რომელიც ძირითადად კერძო სექტორში ფუნქციონირებს, ადგილობრივ დონეზეც, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იქმნება სხვადასხვა გაერთიანებები, სადაც ჩართულნი არიან ადგილობრივად მოსახლეობა და რეალურად, ეს ხდება მაგალითი, იმის, რომ ხელისუფლებას აინტერესებს მოსახლეობის აზრი და გარკვეული ინიციატივების საფუძველზე აქვს ხალხის ჩართულობით გავლენა. ეს ბოლო კონკრეტული მიდგომა, პრაქტიკაში, ცოტა რთულად გასატარებელია განვითარებადი სახელმწიფოებისთვის, რადგან ისინი ამ ეტაპს ჯერ კიდევ გადიან. შესაბამისად, განვითარებად სახელმწიფოებში, უფრო აქტუალური და ქმედითუნარიანი არის არასამთავრობო სექტორი. დამატებით, სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მედია, რომელსაც დიდი ზეგავლენა აქვს სახელმწიფოს შიგნით არსებულ მოსახლეობაზე. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაც უფრო დამოუკიდებელი და გამჭირვალეა მედია, მით უფრო მეტად ვრცელდება ჯანსაღი და სწორი ინფორმაცია, რომელიც არის მნიშვნელოვანი გასაღები საზოგადოების ფორმირებისათვის კონკრეტულ საკითხებზე.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო საზოგადოება, სამართლებრივი ნორმები, არასამთავრობო ორგანიზაცია, მედია.

შესავალი

სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ქართულ წყაროებში მწირი ინფორმაცია არის წარმოდგენილი, რის საფუძველზეც რთულია მისი მნიშვნელოვანი არსის გააზრება. ძირითადად, ინფორმაცია გვხდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ სტატიებში, რომელსაც, სამწუხაროდ ნაკლები გამოხმაურება გააჩნია. იქიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირება საკმაოდ აქტიურია დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ცდილობენ სხვადასხვა მექანიზმებით დაანახონ და შესთავაზონ განვითარებად ქვეყნებს, რაც გამოიხატება სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმების ჩატარებით, პრაქტიკების გაზიარებით ან უნივერსიტეტის დონეზე სასწავლო კურსების დამატებით, სადაც განხილულია სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობა. სამოქალაქო საზოგადოების აქტუალობა გამომდინარეობს მისი არსიდან, რაც გულისხმობს მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებასა და სახელმწიფოს შიგნით ძლიერი ინსტიტუტების მშენებლობას. განვითარებულ სახელმწიფოებში, როგორც არის დასავლეთ ევროპა და აშშ, სამოქალაქო სექტორი მძლავრად მუშაობს და არსებობს არაერთი რიგი გაერთიანება, რომელიც წარმოდგენილია კლუბების სახით. განვითარებად სახელმწიფოებში, მსგავსად ჩვენაირ სახელმწიფოს, შედარებით ნაკლებად არის განვითარებული და სწორედ, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების პლაცდარმის გააზრება და გაძლიერება. დემოკრატიული საზოგადოების შესაქმნელად აუცილებელია ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იყოს ხალხის აზრი გათვალისწინებული და შემდგომში, ამ აზრის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება თუ რეალურად რა სჭირდება ხალხს და რით შეუძლია სახელმწიფომ გაწიოს გარკვეული დახმარება. ერთის მხრივ, სახელმწიფოს აქვს გარკვეული ვალდებულებები, მსგავსად მოქალაქისა, შესაბამისად სამოქალაქო საზოგადოება არის ჯაჭვი ამ ორი ინსტიტუტის ურთიერთგასაძლიერებლად. ის, რომ სახელმწიფოს აუცილებელი ნორმაა, კერძოდ მთავრობის, საკუთარი მოქალაქის დაცვა და მათზე ზრუნვა, ასევე მოქალაქის ვალდებულებაა ჩაერთოს ისეთ პროექტებში, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს განვითარებას. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა განვითარებისთვის უამრავი რესურსი დახარჯეს და დღეს, სწორ კურსს ადგანან. გარკვეულ წილად ამაში ევროკავშირის დიდი წვლილია, თუმცა მათი მონდომება, რომ შეუქმნან მოსახლეობას გარემო, სადაც ყველა მათი ინტერესი დაცული იქნება, დასაფასებელია. ევროკავშირი, არის ეკონომიკური ორგანიზაცია, თუმცა მის წევრებს ავალდებულებს პოლიტიკურადაც ჰქონდეთ შექმნილი გარემო, სადაც დემოკრატიის მაღალი ხარისხი იქნება. აუცილებელია, იყოს ადამიანის უფლებები დაცული, შექმნილი იყოს პლურალური გარემო და რაც მთავარია, ადამიანის, კონკრეტული ინდივიდის უფლებები და მოსაზრებები იყოს ხელშეუვალი. ევროკავშირი აქტიურად არის ჩართული სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაში, რასაც ადასტურებს მიერ შემოთავაზებული დოკუმენტაციები და არაერთი სამიტი/ფორუმი, სადაც სახელმწიფოების წარმომადგენლები უზიარებენ ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკებს, მოქალაქეთა გაძლიერების მიზნით. დამატებით, როდესაც ევროკავშირმა დაიწყო გაფართოება და მათ შორის, საქართველომაც გამოთქვა წევრობის სტატუსზე ინიციატივა, ევროკავშირმა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხრივ შეიმუშავა პროექტი, რომელიც ეხება, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმს.

პროექტის აღწერაში წარმოდგენილია, რომ - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმი არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც მუშაობს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ექვს ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთან, რათა გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო) და აქტივისტების როლი გაზარდოს. პროექტში განხილულია შემდეგი აქტივობები;

- სამოქალაქო საზოგადოებისთვის სწავლის შესაძლებლობები;
- სამოქალაქო საზოგადოების ყოველწლიური ჰაკათონები გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობისთვის ახალი იდეების და ინსტრუმენტების შემუშავებისთვის;
- სამოქალაქო საზოგადოების სტიპენდიები რეგიონიდან 120 სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტის მხარდასაჭერად. რეგიონული ქსელი და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობა შესაბამის რეგიონულ და საერთაშორისო ღონისძიებებში.

პროექტის საერთო მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობაში მონაწილეობითი და ინკლუზიური დემოკრატიის გაძლიერება. პროექტის მიზანია გააძლიეროს აღმოსავლეთ პარტნიორობის სსო-ების და აქტივისტების როლი და გაზარდოს პოლიტიკის შემუშავების პროცესებში და პოლიტიკის დიალოგში ჩართვის, რეფორმებისა და საჯარო ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა. აქედან გამომდინარე პროექტში ასევე განხილულია საბოლოო მოლოდინები;

- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და აქტივისტების შესაძლებლობების გაძლიერება, ჩაერთონ პოლიტიკის შემუშავების პროცესებში და პოლიტიკის დიალოგში, ხელი შეუწყონ რეფორმებს და საჯარო ანგარიშვალდებულებას, ხელი შეუწყონ ადგილობრივ დემოკრატიას, ადგილობრივ განვითარებას და ჩართონ მოქალაქეები საჯარო დებატებში;
- გააძლიეროს სსო-ების მუშაობის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. გააუმჯობესოს საზოგადოების იმიჯი სამოქალაქო საზოგადოების როლის შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობაში.¹

სტატის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელია განისაზღვროს შემდეგი მიზნები, კერძოდ დადგინდეს თუ რა როლი აქვს განვითარებად სახელმწიფოებისათვის სამოქალაქო საზოგადოების არსებობას და რამდენად უწყობს ხელს სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება დემოკრატიის ღირებულებების დაცვაში. შესაბამისად შევიმუშავებთ მიზნებიდან გამომდინარე შემდეგი ამოცანები;

- შევისწავლოთ სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი არსი;
- განვსაზღვროთ სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი სახეები;
- შევისწავლოთ აღმოსავლეთ ევროპის (ბალტიისპირეთის) სახელმწიფოების სამოქალაქო საზოგადოება;
- შევისწავლოთ საქართველოში არსებული სამოქალაქო საზოგადოება და დავადგინოთ რა გამოწვევების წინაშე დგანან ისინი.

¹ ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობლები. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმი.

1. სამოქალაქო საზოგადოების არსი

სამოქალაქო საზოგადოება - ფრაზა ხშირად გვხვდება მედიასა და პოლიტიკაში, თუმცა მისი სწორი დეფინიცია ნაკლებად არის წარმოდგენილი. მსოფლიო ბანკის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოებაში იგულისხმება სხვადასხვა ორგანიზაციების გაერთიანება, კერძოდ; არასამთავრობო ორგანიზაციები, სათემო ჯგუფები, პროფკავშირები, ადგილობრივი ჯგუფები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, რელიგიური ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები და ფონდები. თავდაპირველად, ტერმინი პოპულარული წინა საუკუნის 80-იანი წლებიდან გახდა, როდესაც მოქალაქეთა გაერთიანება, მოძრაობა ეწინააღმდეგებოდა ავტორიტარულ რეჟიმებს, განსაკუთრებით ევროპის სახელმწიფოებში. სწორედ აღნიშნულმა ტალღამ დაუდო სათავე სამოქალაქო საზოგადოების შექმნას. შესაბამისად, "სამოქალაქო საზოგადოება არის თვითწარმოქმნილი, თვითგანვითარებადი და სახელმწიფოსგან ავტონომიურად დამოუკიდებელი ორგანიზმი, რომელიც ექვემდებარება საკანონმდებლო წესრიგს და მოიცავს, საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში."

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდებოდა სამოქალაქო საზოგადოების იდეა და ჩართულობა ევროპის სახელმწიფოებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის, რომლებიც დგანან ლიბერალურ-დემოკრატიულ გზაზე. მათთვის სამოქალაქო საზოგადოება ასოცირდება სახელმწიფოს განვითარებასთან, რადგან მოქალაქის კმაყოფილება პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული მაღალი ხარისხის მხრივ, ეს იქნება ჯანსაღი გარემო თუ დემოკრატიული ღირებულებები.

სამოქალაქო საზოგადოებაში ძირითადად მოიაზრება შემდეგი ტიპის გაერთიანება თუ აქტივობა;

- სამოქალაქო საზოგადოება არის ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც არ ჯდება ოჯახის სფეროში და ცალსახად მოაზრებულია საჯარო სივრცედ, რომელიც ცდება ახლობლურ, მეგობრულ თუ ნათესაურ კავშირებს;
- სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს ისეთ სოციალურ აქტივობებს, რომელიც არ განეკუთვნება ბიზნესის სფეროს. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების ორიენტირს არა მოგება წარმოადგენს, არამედ კონკრეტული სფეროს განვითარება სხვადასხვა სახით;
- ნებისმიერი სამოქალაქო საზოგადოების აქტივობა და სოციალური ურთიერთობა სახელმწიფოს კომპეტენციის მიღმა რჩება;
- ხშირს შემთხვევაში გასაკვირი და გასაოცარია, თუმცა სამოქალაქო საზოგადოებას განეკუთვნება პოლიტიკური პარტიები, თუმცა ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები არსებობს, ნაწილი მიიჩნევს, რომ ის არ ექვემდებარება სამოქალაქო საზოგადოებას, ნაწილი კი პირიქით, რადგან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ამოცანად, პრაქტიკული თვალსაზრისით უნდა იყოს ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ სახელმწიფოს განვითარება და ურთიერთობების არსებობა მოქალაქეთა მიმართ;
- სამოქალაქო საზოგადოების კიდევ ერთ მიმართულებას წარმოადგენს მასობრივი მედიასაშუალებები. ჩვენ ხშირად გვესმის ტერმინი, რომ მეოთხე ხელისუფლება სწორედ, რომ მედიაა. მედიას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციუმში, რადგან სწორედ ის

არის ერთადერთი მთავარი წყარო ინფორმაციის გავრცელების. მისი საშუალებით ხდება საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულირება და აგრეირება. მედიას აქვს ასევე დიდი ძალა იმ თვალსაზრისით, რომ არის დამაკავშირებელი ხიდი მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის;

- სამოქალაქო საზოგადოების მიმართულებას წარმოადგენს ასევე პროფკავშირები, რომელთა ძირითადი მიზანია კონკრეტულ პროფესიათა წევრების გაერთიანების საფუძველზე მოითხოვონ ან დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები თუ რა არის საჭირო მათი მიმართულების გასავითარებლად და რაშია საჭირო სახელმწიფოს მხრიდან დახმარება და სხვ.²

2. სამოქალაქო საზოგადოება აღმოსავლეთ ევროპაში

ცივი ომის დასრულება იყო მაუწყებელი ევროკავშირისთვის, რომ მეტი ნაბიჯები გადაედგა დემოკრატიის ხელშეწყობის მიზნით, პარალელურად აშშ-ს ამ მიმართულებით უკვე რიგი ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული. მის მიერ შემუშავებული მიდგომები და პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპასა და დასავლეთს შორის თავდაპირველად სახელმწიფოს სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავდებოდა. შეერთებული შტატები, ზოგადად აქცენტს სხვანაირად აკეთეს პოლიტიკურ ცვლილებების პროცესებზე ქვემოდან ზევით, ხოლო ევროკავშირისთვის მეტად მნიშვნელოვანი არის სტაბილური და დემოკრატიული ქვეყნის ინსტიტუტების მშენებლობა და შემდგომი განვითარება. შესაბამისად, აშშ მიდრეკილია, რომ მეტი აქცენტები გაკეთდეს პოლიტიკურ უფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე, ხოლო ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია დადგინდეს პრობლემები და ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე იმუშაოს.

ევროკავშირის ყველაზე გავლენიანი ბერკეტი რეგიონში დემოკრატიის ხელშესაწყობისთვის აღმოჩნდა მისი გაფართოების სტრატეგიები. ორგანიზაციამ მაქსიმალურად შეუწყო ხელი სახელმწიფოებს, რათა დაეჩქარებინათ სახელმწიფოს შიგნით არსებული რესურსების გამოყენებას და რიგი ნაბიჯების გადადგმას პოლიტიკური დღის წესრიგის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები მოიცვა და რიგი იმედები დაუტოვა სახელმწიფოებს, რომლებიც დღეს კიდევ ელოდებიან ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებას, მათ შორის საქართველოც.

ევროკავშირმა ასევე შეცვალა თავისი საერთო სტრატეგიები ადგილობრივ პრეფერენციებთან და მოთხოვნებთან უფრო მეტი ადაპტაციის სასარგებლოდ და გადავიდა „ერთი ზომით ყველასთვის შესაფერისი“ მიდგომებისგან. ეს აისახება სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის სახელმძღვანელოში, რომელმაც მოიტანა პროცედურული ცვლილებები განაცხადის ზოგიერთი რთული პროცესის მოსაგვარებლად და აღმოსავლეთ პარტნიორობის უახლეს პრიორიტეტებში. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება არ არის მხოლოდ თვითმიზანი ევროკავშირისთვის, არამედ საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმა.³

² ბოროუსი, გ., აბაშიძე, ზ., მუხიგული, ქ., დუნდუა, ს., ქარაია, თ., დემოკრატია და მოქალაქეობა. 2020. გვ 167-169.

³ ბუშე, ნ., ბალფური, რ., სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა აღმოსავლეთ ევროპასა და დასავლეთ ბალკანეთში: ძველი და ახალი გამოწვევები.

2.1. სამოქალაქო საზოგადოება ბალტიისპირეთის ქვეყნებში

საბჭოთა კავშირის დაშლამ ბალტიისპირეთის ქვეყნებისათვის განსხვავებული სურათი შემოგვთავაზა. პირველი ეს განპირობებული იყო მათ მიერ არადემოკრატიული რეჟიმის თავიდან დაღწევის შესაძლებლობებით, ხოლო შემდგომი მიმართულება გახლდათ ადამიანების ქმედება და აქტივობები, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაერთვნენ სამოქალაქო ინიციატივებში. პირველი წარმონაქმნი ჩნდება 1980-იანი წლებიდან, როდესაც საბჭოთა კავშირი უკვე დასუსტებული იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, უკვე დაშლის შემდგომ ფუნდამენტური ცვლილებები მოხდა. კერძოდ, ამ სამ სახელმწიფოს სურდა არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის საფუძველზე დემოკრატია და გაერთიანების თავისუფლება მაღალ ეტაპზე აეყვანა. ექვგარეშეა, რომ ამ მიზნებმა მათ გამოჩინის და შემდგომი განვითარების საშუალება მისცა. ამის საფუძველს გვაძლევს 1989 წლიდან სამივე სახელმწიფოში არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნება.

ესტონეთში 1988-1991 წლიდან დაარსდა მრავალი დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანი დასაწყისისთვის თავისუფლების იდეის გავრცელება იყო. მიუხედავად საბჭოთა კავშირის გავლენის, ესტონეთმა მოახდინა რიგი საოცრება სსო-ების განვითარების მხრივ, რადგან 1997 წლამდე 18915-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო ოფიციალურად დარეგისტრირებული. დამატებით, ესტონეთში პოპულარობით სარგებლობს ინტეგრაციის ფონდი. ინტეგრაციის ფონდი არის ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაარსებული ფონდი. ფონდი ინიცირებს და მხარს უჭერს ესტონეთის საზოგადოების ინტეგრაციისკენ მიმართულ პროექტებს და კოორდინაციას უწევს დაფინანსებას ამ სფეროში, მათ შორის უცხოური სახელმწიფოების მიერ დაფინანსებული რამდენიმე პროექტის ჩათვლით. ესტონეთში ინტეგრაციის პროცესის წარმატებული კურსი დამოკიდებულია ესტონეთის საზოგადოებაში მოქმედ ყველა დონეს შორის ეფექტურ თანამშრომლობაზე, როგორცაა სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობები, სკოლები, უნივერსიტეტები, კერძო კომპანიები და კერძო პირები.⁴

- 2022 წლის მიხედვით ესტონეთში 30000-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია არის რეგისტრირებული.⁵

რაც შეეხება ლატვიას, საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, აღნიშნულ სახელმწიფოშიც დაიწყო არასამთავრობო სექტორების ჩამოყალიბება, დასაწყისისთვის 1200მდე არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა, თუმცა ესტონეთისგან განსხვავებით, აქ უფრო ნაკლებად გახდა პოპულარული და მეტიც, იმის მაგივრად, რომ გაზრდილიყო სსო-ების ქმედითუნარიანობა, შემცირდა. 1988-1991 წლებში 42%-ით შემცირდა მისი ფუნქციონირება. ძირითადად იმ პერიოდისთვის არასამთავრობოების მთავარი დანიშნულება იყო მოქალაქეთა ზრუნვა და დახმარება, სოციალური ინტერესების დაცვა და ხელისუფლების მონიტორინგი.

- 2022 წლის მიხედვით ლატვიაში 27000-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია არის რეგისტრირებული.⁶

⁴ სამოქალაქო საზოგადოება და ინტეგრაცია.

⁵ არაკომერციული ორგანიზაციები ესტონეთში - არის თუ არა NPO მართლაც ასე მომგებიანი?

⁶ არაკომერციული და საქველმოქმედო ორგანიზაციების სია ლატვიაში.

1990-იანების დასაწყისში, ლიეტუვაში ამ სამი სახელმწიფოდან ყველაზე ნაკლებად ფუნქციონირებდა არასამთავრობო სექტორი, რადგან 1991-1996 წლის იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით რეგისტრირებული იყო 900 არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ამბობდა, რომ რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. ლიეტუვის არასამთავრობოს უმეტესობა აქტიური იყო რელიგიური, საქველმოქმედო და ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. თუმცა, კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა საგადასახადო შეღავათებს, ძნელად მისაღწევი გახდა და მზარდი კორუფცია ართულებდა საგარეო მხარდაჭერის საბოლოო მიზნის მიღწევას და ეს უარყოფითად აისახა მაშინდელ არასამთავრობო სექტორის შესაძლებლობების ზრდაზე.⁷

დღეის მონაცემებით, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის რეგიონის ანგარიშში ლიეტუვა რჩება ყველაზე მდგრად არასამთავრობო სექტორის მქონე ქვეყნებს შორის და ლიდერობს ადვოკატირების განზომილებაში. ქვეყნის სსო-ების მდგრადობა სტაბილური დარჩა 2021 წელს. მცირე პოზიტიური ცვლილება მოხდა მომსახურების სექტორში: მუნიციპალიტეტებმა გამოიჩინეს მეტი ინტერესი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის სერვისების გადაცემით, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააფართოვეს მათ მიერ შეთავაზებული სერვისების სპექტრი. ლიეტუვის NGDO პლატფორმა მუშაობს ინტერკულტურული, სამოქალაქო და დემოკრატიული საზოგადოებების გაძლიერებაზე, ლიეტუვური არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაფართოებაზე, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის აქტივობებში და დაეხმარონ თავიანთი უნარების განვითარებას.

- 2022 წლის მიხედვით ლიეტუვაში 20000მდე არასამთავრობო ორგანიზაცია არის რეგისტრირებული.

2.2. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში

საქართველოსთვის, მსგავსად სახელმწიფოების, რომლებიც მიიღვიან დემოკრატიისკენ სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლაცდარმია. საქართველომ წარსულში არაერთი ომი გამოიარა და დღემდე ცდილობს გადარჩენას ოკუპაციისგან. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია საგარეო უსაფრთხოება, რომლის წინაპირობაა აუცილებლად ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკის სიძლიერე. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია მის წევრ სახელმწიფოებში შეძლებისდაგვარად იყოს პოლიტიკური სტაბილურობა და ამას, მათი პრაქტიკების გაზიარებით ახორციელებს. შესაბამისად, საქართველოს აქვს იმის შესაძლებლობა და რესურსი, რომ მის სასიკეთოდ გამოიყენოს უკვე განვლილი სახელმწიფოების მაგალითები.

სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ჩვენს ისტორიას, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა, იცვლებოდა და დღემდე ვითარდება. საქართველოსთვის უცხო ნამდვილად არ არის სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, თუმცა, რა თქმა უნდა, ძველ პერიოდში აღნიშნული სექტორი განსხვავებულად მუშაობდა.

პირველი რომელიც უნდა გაგვახსენდეს ეს იყო “წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართული საზოგადოება”, რომელიც 1879 წელს ჩამოყალიბდა. ეს იყო პირველი

⁷ მაჩიუკაიტე-ჟინინენ, ს., გამოწვევები სამოქალაქო საზოგადოებისთვის: მონაწილეობა ბალტიის ქვეყნების რეგიონის მშენებლობაში. მიკოლას რომერისის უნივერსიტეტი, ვილნიუსი 2008.

წარმონაქმნი სამოქალაქო საზოგადოების, როცა მოქალაქეთა გაერთიანებით და სულისკვეთებით შეიქმნა ისეთი ორგანიზაცია, რომლის მიზანს ქართული ენის შესწავლა წარმოადგენდა. მიუხედავად, იმის, რომ იმ პერიოდში რუსეთს დიდი ზეგავლენა ჰქონდა საქართველოზე, მოქალაქეთა თავდაუზოგავმა შრომამ და სულისკვეთებამ უკან არ დაახევინა და დიდად მნიშვნელოვანი ისტორიული სამაგალითო კვალი დაგვიტოვა.

მოგვიანებით, 1890 წლიდან ეკატერინე გაბაშვილის და სხვა ფემინისტი ქალების თაოსნობით გაიხსნა პირველი ქალთა სასწავლებელი ეკატერინე გაბაშვილის სახლში, სადაც ქალებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ განათლება. XX საუკუნის დასაწყისში კი, კატო მიქელაძემ დააფუძნა „ხმა ქართველი ქალისა“, სადაც განხილული იყო არაერთი ქართველი ქალის პრობლემა იმდროინდელი ფონიდან გამომდინარე.⁸ უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული თანასწორობის მხრივ გატარებული სამოქალაქო საზოგადოების მცდელობები საქართველოში უფრო ადრე ფიქსირდება, ვიდრე ევროპულ სახელმწიფოებში. ერთის მხრივ, ეს არის მესიჯი, იმის, რომ საქართველოში ქალებმა იმაზე ადრე დაიწყეს მათ პრობლემებზე საუბარი, ვიდრე საუკუნეების შემდგომ ეს გაიწერებოდა დემოკრატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირებულებად, რომ იყოს გენდერულად დაცული თანასწორი და თანაბარი გარემო.

ქმედითი ნაბიჯები ყალიბდებოდა 1921 წლამდე, სანამ საქართველოს გასაბჭოება მოხდებოდა. მაგ პერიოდამდე, იქმნებოდა პროფკავშირები, სპორტული კლუბები, მწერალთა და ხელოვანთა გაერთიანებები და ა.შ. შესაბამისად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად რთული პერიოდისა, საქართველოში მოსახლეობას ჰქონდა იმედი და სულისკვეთება სამშობლოს განვითარების.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის საქართველოში წინა საუკუნეში დაფიქსირდა 1978 წლის 14 აპრილს.⁹ კერძოდ, სტუდენტთა დიდმა პროტესტმა გამოიღო საბოლოო შედეგი, როდესაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში შედიოდა ცვლილება ქართული ენის ამოღებასთან დაკავშირებით, რაც საბედნიეროდ ესე არ მოხდა. ამ ისტორიული მომენტის გმირები ქართველი სტუდენტები აღმოჩნდნენ, რომელთა მეშვეობითაც არ განხორციელდა ცვლილება და ქართული ენა ისევ მთავარ ენად დარჩა სახელმწიფოსთვის.

თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში 1991-1995 წლებში ჩნდება. აღნიშნულ პერიოდში იქმნებოდა პოლიტიკური ჯგუფები და სოციალური მოძრაობები, რომელთა უმეტეს ნაწილს სტუდენტები და ახალგაზრდა სექტორი წარმოადგენდა. მსგავსად ბალტიისპირეთის ქვეყნებისა, საქართველოში საზოგადოების მხრიდან ძლიერი ანტიკომუნისტური ღირებულებები სუფევდა, განსაკუთრებით წყურვილი ნანატრი დამოუკიდებელი სახელმწიფოს. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისგან განსხვავებით საქართველო უფრო რთული ამოცანის წინაშე იდგა. სწორედ, რომ გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, საქართველოზე უფრო ნაკლები ინვესტიცია განხორციელდა. 1994 წლიდან ქვეყანაში ნელ-ნელა დაიწყო უცხოური დახმარება. საერთაშორისო ფონდებმა დაიწყეს საქართველოში ფილიალების გახსნა, რომლის მთავარ იდეად ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა რჩება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ ევროპის მსგავსად, საქართველოშიც, ხელისუფლებაში მოსვლა დაიწყო იმ

⁸ ხმა ქართველი ქალისა, 1918 | 31 ოქტომბერი.

⁹ 1978 წლის 14 აპრილის თბილისის მოვლენები და ამონარიდები დასავლური პრესიდან.

დროინდელმა სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა. ვარდების რევოლუციის შემდგომ სსო-ებში ნაკლები ინვესტიცია ხორციელდებოდა, როგორც მთავრობის, ასევე უცხოური პარტნიორების მხრიდან, რადგან მთლიანი ინვესტიცია მიდიოდა მთავრობის რესურსზე. განსაკუთრებით იმ პერიოდში აქტიურად იყო ახალგაზრდა მოსახლეობა ჩართული ანტისაოკუპაციო მოძრაობების მხრივ, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება იყო სამოქალაქო საზოგადოების.

საქართველოში, მსგავსად სხვა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა, სამოქალაქო საზოგადოება ასოცირდება არასამთავრობო ორგანიზაციასთან. რა თქმა უნდა, პირველი ნაბიჯი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში და მის განვითარებაში ემსახურებოდა სსო-ების შექმნასა და ფუნქციონირებას. საქართველოში არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არის ოფიციალურად რეგისტრირებული, რომელთა მიმართულებები, კერძოდ, მიზანი არის განსხვავებული. ზოგისთვის აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვა და ინფორმირება მოსახლეობაში, ზოგისთვის ფემინისტური იდეების სწორად გავრცელების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო სფეროს განვითარება და სხვადასხვა მხარდამჭერი პროექტების მეშვეობით სტუდენტების ხელშეწყობა და უცხოეთში სასწავლებლად გამგზავრების უზრუნველყოფა და ა.შ.

რამდენიმე წლის წინ არასამთავრობო ორგანიზაციები განსაკუთრებული აქტუალობით გამოირჩეოდა და მაღალი ხარისხით ხალხის ნდობის მხრივ, თუმცა დღესდღეობით, სამწუხაროდ ფონი შეიცვალა. მიუხედავად, იმის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს განვითარების მხრივ, არაერთი მიმართულებით, ადვოკატირების, ცოდნის ამაღლების და ა.შ. მოსახლეობაში გარკვეულწილად მაინც არის უარყოფითი დამოკიდებულება, რასაც ცხადყოფს არაერთი გამოკითხვა.

სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მედია. მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, საქართველოშიც აქტიურად არის ყურებადი მედია-სამუშალებები. ჩვენს შემთხვევაშიც მედიას აქვს დიდი ზეგავლენა საზოგადოების აზრის ფორმულირებაზე. დემოკრატიის ინდექსის თანახმად, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება ეკონომიკური ფორუმის მიერ, საქართველოში დღემდე არის მედიასთან მიმართებაში გარკვეული შეკითხვები თუ რამდენად დამოუკიდებელი და გამჭვირვალეა. შესაბამისად, დემოკრატიის ხარისხს, არა მხოლოდ გარემო განსაზღვრას თუ როგორი თანასწორი და თავისუფალია, არამედ პოლიტიკური ფუნქციონირებაც და ერთ-ერთ პლაცდარმს წარმოადგენს მედიის მიუკერძოებლობა.

დასკვნა

სამოქალაქო საზოგადოება არის მამოძრავებელი ძალა სახელმწიფოს შიგნით დემოკრატიული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. სამოქალაქო საზოგადოება არის ჯაჭვი მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი განვითარებად სახელმწიფოებისათვის, რადგან სწორედ ისინი დგამენ რიგ ნაბიჯებს ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და პოლიტიკურად სტაბილური გარემოს შესაქმნელად. აღმოსავლეთ ევროპის თითქმის უმეტეს სახელმწიფოს აქვს ერთი ისტორიული წარსული, რომელიც უკავშირდება საბჭოთა

კავშირს, შესაბამისად აღნიშნულ რეგიონის სახელმწიფოებს არა მხოლოდ ეკონომიკური თუ პოლიტიკური განვითარება, არამედ მენტალური ცვლილებების მიღებაც სჭირდება.

ევროკავშირი არის დასაყრდენი ძალა ევროპის სახელმწიფოებისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება ეს ეკონომიკური ორგანიზაციაა, თუმცა გაცილებით მეტ როლს ასრულებს სახელმწიფოების განვითარების მხრივ, რომ ჰქონდეთ შექმნილი ჯანსაღი პოლიტიკური გარემო. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი ეხმარება სახელმწიფოებს მაქსიმალურად გამოიყენონ ქვეყნის შიგნით არსებული პოტენციალი. სწორედ, ამიტომ საქართველოსთვისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვექტორს წარმოადგენს აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანება.

ევროკავშირმა არაერთი პროექტი შესთავაზა წევრ და სამომავლოდ გასაწევრიანებელ სახელმწიფოებს სამოქალაქო საზოგადოების შესახებ. რაც წარმოდგენილია სხვადასხვა ფორუმების გამართვით, სადაც საქართველოს იღებს უშუალოდ მონაწილეობას. თავის მხრივ, ის პრაქტიკები, რომლებიც ჟღერდება აღნიშნულ ფორუმებზე უნდა იყოს მაგალითი იმის, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს სახელმწიფო უფრო სწრაფად და ეფექტურად.

სამოქალაქო საზოგადოებას აქვს უდიდესი როლი ქვეყნის განვითარების მხრივ. მოქალაქეთა ჩართულობით, უფრო ნაყოფიერად და ეფექტურად კეთდება საქმე, ვიდრე მხოლოდ ქმედითი ნაბიჯები იყოს ნაკარნახები ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. დღესდღეობით არაერთი კლუბია შექმნილი საუნივერსიტეტო დონეზეც, რომელიც ინფორმაციული თვალსაზრისით სტუდენტებს ეხმარება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიებაში. დამატებით, არასამთავრობო ორგანიზაციების როლიც მნიშვნელოვანია, რადგან ხშირ შემთხვევაში ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემის დაფიქსირებასა და შემდგომში ქმედითუნარიანი ნაბიჯების გადადგმაში.

განვითარებად სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოსაც გააზრებული აქვს თუ რამხელა როლი აქვს მოქალაქეთა კმაყოფილებას. შეუძლებელია დემოკრატიისკენ ილტვოდე, ისე რომ მოქალაქეზე ორიენტირებულ გარემოს არ ქმნიდე. პრაქტიკაში, ყველა სახელმწიფოს განსხვავებული მიდგომა აქვს, თუმცა აღმოსავლეთ ევროპას საერთო პოლიტიკური წარსული გააჩნია. შესაბამისად, აღნიშნულ სახელმწიფოებს მეტად დაახლოებული გარემო აქვთ და საქართველოს შემთხვევაში შესაძლებელია კარგი პრაქტიკების დანერგვა საკუთარ სახელმწიფოში.

სამოქალაქო საზოგადოების გასაზრდელად, კონკრეტულად საქართველოში, აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა;

- სამოქალაქო საზოგადოების შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობამდე;
- ადგილობრივ დონეზე ხელისუფლების მხრიდან უფრო მეტი პროექტი უნდა დაინერგოს, სადაც მოსახლეობა იქნება მაქსიმალურად ჩართული;
- არასამთავრობო ორგანიზაციების როლი უნდა გაიზარდოს და მათი საქმიანობა იყოს გამჭვირვალე, რომ მოსახლეობის მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება დადებითად შეიცვალოს.

ბიბლიოგრაფია

1. ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობლები. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმი. <https://euneighbourseast.eu/projects/eu-project-page/?id=1594> [უკანასკნელად გადამოწმდა 20.10.2023];
2. ბოროუსი, გრიერ, აბაშიძე, ზვიად, მუხიგული, ქეთევან, დუნდუა, სალომე, ქარაია, თამარ, დემოკრატია და მოქალაქეობა. საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი, თბილისი, 2020;
3. ბუშე, ნიკოლას, ბალფური, როზა, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა აღმოსავლეთ ევროპასა და დასავლეთ ბალკანეთში: ძველი და ახალი გამოწვევები. <https://www.gmfus.org/news/supporting-civil-society-eastern-europe-and-western-balkans-old-and-new-challenges> [უკანასკნელად გადამოწმდა 22.10.2023];
4. სამოქალაქო საზოგადოება და ინტეგრაცია. <https://www.eesti.ee/en/citizenship-and-documents/citizenship/civil-society-and-integration> [უკანასკნელად გადამოწმდა 22.10.2023];
5. არაკომერციული ორგანიზაციები ესტონეთში - არის თუ არა NPO მართლაც ასე მომგებიანი? <https://enty.io/blog/nonprofit-organizations-estonia> [უკანასკნელად გადამოწმდა 22.10.2023];
6. არაკომერციული და საქველმოქმედო ორგანიზაციების სია ლატვიაში <https://www.globalgiving.org/atlas/country/latvia/> [უკანასკნელად გადამოწმდა 22.10.2023];
7. მაჩიუკაიტე-ჟვინიენე, საულე, გამოწვევები სამოქალაქო საზოგადოებისთვის: მონაწილეობა ბალტიის ქვეყნების რეგიონის მშენებლობაში. მიკოლას რომერისის უნივერსიტეტი, ვილნიუსი 2008.
8. ხმა ქართველი ქალისა, 1918 | 31 ოქტომბერი. <https://prosopography.iliauni.edu.ge/sources/2437-khma-qartveli-qalisa-1918-31-oqtomberi> [უკანასკნელად გადამოწმდა 03.11.2023];
9. 1978 წლის 14 აპრილის თბილისის მოვლენები და ამონარიდები დასავლური პრესიდან. https://idfi.ge/ge/14_april [უკანასკნელად გადამოწმდა 03.11.2023];
10. კენი, მაიკლ, სამოქალაქო საზოგადოება. ენციკლოპედია ბრიტანიკა. <https://www.britannica.com/topic/civil-society> [უკანასკნელად გადამოწმდა 22.10.2023];
11. იანგსი, რიჩარდ, ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის ახალი მიმართულებები(გაკვეთილები თურქეთიდან, დასავლეთ ბალკანეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან). <https://carnegieeurope.eu/2020/02/18/new-directions-for-eu-civil-society-support-pub-81092> [უკანასკნელად გადამოწმდა 05.11.2023];
12. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი. <https://eap-csf.eu/policy-dialogue/> [უკანასკნელად გადამოწმდა 05.11.2023].

კანონიერი ნდობის პრინციპი კანონიერების პრინციპის პირისპირ

გვანცა ვარამაშვილი

დოქტორანტი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომში განხილული იქნება ადმინისტრაციული სამართლის ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, კერძოდ, კანონიერი ნდობის პრინციპი და კანონიერების პრინციპი, მათი წარმომავლობა, ადგილი საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, მათი მიმართება როგორც კონსტიტუციურ პრინციპებთან, ისე სხვა საჯარო სამართლის პრინციპებთან. ნაშრომში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ამ ორი პრინციპის დაპირისპირების საკითხი. ნაშრომის მიზანია, მოახდინოს კანონიერი ნდობისა და კანონიერების პრინციპების სამართლებრივი საფუძვლების, მათთან დაკავშირებული დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და გამოავლინოს ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა წინაშე ხშირად დგას ადმინისტრაციული ორგანო, აღნიშნული პრინციპების შეპირისპირების შემთხვევაში. ამასთან, ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ის პრობლემური საკითხები, რომლებიც უკავშირდება აღნიშნულ ინსტიტუტების თანაარსებობას, ასევე მათი გადაჭრის გზები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: კანონიერი ნდობის პრინციპი, კანონიერების პრინციპი, დაინტერესებული მხარის ნდობის დაცვა, აქტის გაუქმება, პრინციპების კოლიზია, თანაზომიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირება.

შესავალი

1999 წლის 25 ივნისს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღება იყო ისტორიული სამართლებრივი რეფორმა. 2000 წელს აღნიშნული კოდექსის ამოქმედების შედეგად სრულიად შეიცვალა სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის სტანდარტები. კოდექსის ამოქმედებამდე ქართულ სამართალში არ იყო ადმინისტრაციული სამართლისა და მართლმსაჯულების გამოყენების გამოცდილება.¹

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შემუშავებაზე დიდი გავლენა იქონია აშშ-ს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის ადმინისტრაციული სამართლის ტრადიციებმა.² აღნიშნული კოდექსით მოხდა ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების დამკვიდრება ქართულ სამართალში, მათ შორის, კანონიერი ნდობის პრინციპის, რომლის გამოყენების ტრადიცია საქართველოს არ გააჩნდა და მისი დამკვიდრება მოხდა საზღვარგარეთის ქვეყნებში უკვე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.³

¹ ტურავა, პ., კანონიერი ნდობის პრინციპი (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 10, N2-3, 2007, 212.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 214.

1. კანონიერი ნდობის პრინციპი. ისტორიული მიმოხილვა.

კანონიერი ნდობის პრინციპის ინსტიტუტზე საუბარი XIX საუკუნიდან გახდა აქტუალური. აღნიშნულ პრინციპზე საუბარი იყო პრუსიის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს 1892 წლის გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავდა, რომ სამართლებრივ არასტაბილურობას გამოიწვევდა, თუკი შესაძლებელი იქნებოდა, მშენებლობის ნებართვის გაცემით დამდგარი სამართლებრივი მდგომარეობის გაუქმება ნებისმიერ დროს, წლების შემდეგაც და მეწარმე, რომელმაც ნებართვის ნდობის შედეგად ააშენა სახლები, ნებართვის გაცემიდან ერთი წლის შემდეგ, იძულებული იქნებოდა, გაეთავისუფლებინა ეს ტერიტორია, ან მას სამართლებრივი ურთიერთობის ახლებურად მოწესრიგების სანაცვლოდ დაკისრებოდა დიდი თანხების გადახდა.⁴

კანონიერი ნდობის პრინციპი, გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი⁵, შემდეგ კი ეს მიდგომა გაჩნდა ინგლისში.⁶ ინგლისის ადმინისტრაციული სამართალი იცნობდა კანონიერი ნდობის მხოლოდ პროცედურულ დაცვას, შესაბამისად, როდესაც კანონიერი ნდობა არსებობდა, პირს ენიჭებოდა მხოლოდ დამატებითი საპროცესო უფლებები, კერძოდ, მაგალითად ზეპირი მოსმენა. თუმცა, ამჟამად კანონიერი ნდობა არის ინდივიდისათვის უფლების დაცვის გარანტია პირადი მოლოდინების აღსრულების გზით.⁷ როგორც გერმანულ, ისე სათემო (community law) კანონმდებლობაში კანონიერი ნდობა იძლევა არსებითი დაცვის საფუძველს.

1.1. კანონიერი ნდობის პრინციპი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით

კანონიერი ნდობის პრინციპი, ისევე როგორც ადმინისტრაციული სამართლის სხვა ინსტიტუტები ექვემდებარება საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

საქართველოს საკასაციო სასამართლოს განმარტების შესაბამისად, კანონიერი ნდობის ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება არის მმართველობის კანონიერების, სტაბილურობისა და მისი ავტორიტეტის საზოგადოებაში დამკვიდრების წინაპირობა.⁸

ტერმინის „კანონიერი ნდობის პრინციპი“-ს პირდაპირ განმარტებას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ გვთავაზობს, ის აღნიშნულ პრინციპს წარმოადგენს ადმინისტრაციული დაპირებისა და აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების საკითხებთან მიმართებით.⁹

უშუალოდ კანონიერი ნდობის პრინციპის განხილვამდე, მიზანშეწონილია, გავეცნოთ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მექანიზმს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. მოქმედი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, სამართლებრივი აქტის გაუქმება გულისხმობს აქტის მოქმედების

⁴ იქვე, გვ. 216.

⁵ Zeyl, Trevor J., Charting the Wrong Course: The Doctrine of Legitimate Expectations in Investment Treaty Law, Alberta Law Review, Forthcoming, 03/03/2011, 19.

⁶ Nolte, G., General Principles of German and European Administrative Law: A Comparison in Historical Perspective. The Modern Law Review, 57(2), 1994, 191–212. <http://www.jstor.org/stable/1096807>. [უ. გ. 26.10. 2023].

⁷ Barak-Erez, D., „The Doctrine of Legitimate Expectations and the Distinction between the Reliance and Expectation Interests.“ European Public Law, 2005, 584.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 6 ოქტომბრის Nზს-535-506(კ-09) გადაწყვეტილება.

⁹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 9, 60¹, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 4, 15, 25/06/1999.

შეწყვეტას. აქტის გაუქმების სამ შემთხვევას იცნობს კოდექსი: აქტის გაუქმება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე, აქტის გაუქმება სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის შედეგად და გაუქმება ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით.¹⁰ აღნიშნულ შემთხვევაში, ჩვენს ინტერესს წარმოადგენს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების შემთხვევა ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით, ვინაიდან, კანონიერი ნდობის უფლება შეგვიძლია განვიხილოთ აქტის გაუქმებისას ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით, წინა ორ შემთხვევაში, პირს კანონიერი ნდობის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი არ აქვს, რადგან აქტის გასაჩივრების ვადები არ არის გასული.

მოქმედი ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის მიხედვით ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ძალადაკარგულად კი შეიძლება გამოცხადდეს კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.¹¹

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებების შესაბამისად კანონიერი ნდობის უფლებას ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათის არის. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაშვებული სამართლებრივი შეცდომისა და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება მნიშვნელოვანია, რადგან ის არის ერთგვარი წინაპირობა მმართველობის კანონიერების, სტაბილურობისა და მისი ავტორიტეტის საზოგადოებაში.¹²

ძირითადი უფლებების ევროპული ქარტიის 41-ე მუხლის შესაბამისად კარგი მმართველობის უფლება წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას. ამ მუხლის კონკრეტიზაციისას¹³ გამოიკვეთა, რომ კარგი მმართველობის წინაპირობა სწორედ რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ნდობაა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე მორგებული პროცედურები.¹⁴

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი მუხლების ფორმულირების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონიერი ნდობის პრინციპისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ დაინტერესებული პირის ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მიმართ. კანონიერი ნდობის არსებობისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, დაინტერესებული მხარის რწმენა, რომ ეს აქტი კანონიერია. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაინტერესებული მხარის კეთილსინდისიერებას, მხარის კანონიერ ნდობას საფუძველად არ უნდა ედოს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება, მაგალითად ეს შეიძლება იყოს

¹⁰ ტურავა, პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი, 2018, გვ. 201.

¹¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლები 60¹, 61, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 15-16, 25/06/1999.

¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება Nბს-168-162(კს-09), 28 აპრილი, 2009 წელი, ქ. თბილისი; იხ. აგრეთვე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: Nბს-1433-1391(კ-08), 17 მარტი, 2009 წელი; Nბს-1725-1679(კ-08), 30 ივნისი, 2009 წელი; Nბს-535-506(კ-09), 6 ოქტომბერი, 2009 წელი; Nბს-ბს-174-168(2კ-10), 20 ივლისი, 2010 წელი.

¹³ „ევროპული კოდექსი კარგი ადმინისტრაციული პრაქტიკისთვის“ კოდექსი შემუშავდა ევროპის სახალხო დამცველის მიერ და 6.9.2001 წ. მიღებულ იქნა ევროპარლამენტის მიერ (ბროშურა ლუქსემბურგი 2001).

¹⁴ გეგენავა, დ., ზომერმანი, კ., კობახიძე, ი., როგავა, ზ., სვანიშვილი, ს., ტურავა, პ., ყალიჩავა, კ., ხუბუა, გ., „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლების სახელმძღვანელო“, თბილისი 2016, გვ. 38-39.

ადმინისტრაციული ორგანოს მოტყუება, ყალბი დოკუმენტების წარდგენა და ა.შ. ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, გამორიცხული არის მისი მხრიდან აქტის კანონიერებისადმი რწმენა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, კანონიერი ნდობის მნიშვნელოვანი ელემენტია ასევე აქტის საფუძველზე განხორციელებული იურიდიული ძალის მქონე ქმედება. მაგალითად, როდესაც პირის მიმართ გამოიცა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კერძოდ, მიიღო მშენებლობის ნებართვა და იმ რწმენით, რომ ეს ნებართვა იყო კანონის შესაბამისად გაცემული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, გამოიტანა სესხი, შეიძინა სამშენებლო მასალები და მშენებელს გადაუხადა მომსახურებისათვის საფასური. ამ შემთხვევაში, ეს ქმედებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც იურიდიული ძალის მქონე ქმედება, რომელიც განხორციელდა მშენებლობის ნებართვის, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

ასევე საინტერესოა შემთხვევა, როდესაც აქტის გამოცემას საფუძველად უდევს არა დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება, არამედ თავად ადმინისტრაციული ორგანოს შეცდომა ან უკანონო ქმედება, რომელიც ცნობილია დაინტერესებული მხარისთვის, მაგრამ დუმს. შეიძლება თუ არა ასეთი აქტის მიმართ ჰქონდეს მხარეს კანონიერების რწმენა? რა თქმა უნდა, მიზანმიმართული დუმის შემთხვევაში, დაინტერესებული მხარის რწმენა ასეთი აქტის კანონიერების მიმართ გამორიცხულია. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაც უნდა მივიჩნიოთ კანონიერი ნდობის ერთ-ერთ გამომრიცხველ გარემოებად.

1.2. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება

მოსარჩელის კანონიერი უფლებისა და ინტერესის საფუძველი შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება ეს არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შესაძლოა გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.¹⁵

ადმინისტრაციული დაპირების დროს, მისი შინაარსიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ ადმინისტრაციული ორგანო იღებს ვალდებულებას, შეასრულოს რაიმე ქმედება, თუმცა, ქმედების შესრულება გულისხმობს როგორც მოქმედების განხორციელებას, ასევე, რაიმე ქმედებისგან თავის შეკავებასაც. მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება შეიძლება გულისხმობდეს მისთვის კანონით მინიჭებული რომელიმე უფლებამოსილების განხორციელებისაგან თავის შეკავებას.¹⁶

დაპირების კანონიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომ ის განხორციელდეს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით უნდა გაიცეს მხოლოდ დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენის და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული აქტის გამოსაცემად.

¹⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 და მე-60¹ მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 4, 15, 25/06/1999.

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება Nბს-708-693(3კ-12).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, კანონიერი ნდობის არსებობა გამოირიცხება, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების საფუძველი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება. დაინტერესებული მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი პირობაა, რომ დაპირება იყოს მართლზომიერი. დაპირების მიმცემმა ან დაინტერესებულმა პირმა იცოდნენ თუ არა დაპირების კანონსაწინააღმდეგობის შესახებ, ეს არ არის გადაწყვეტი მნიშვნელობის.¹⁷

დაპირების მიმართ კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოება არის ასევე წერილობითი ფორმის დაუცველობა, შესაბამისი ნორმატიული საფუძვლის შეცვლა, რომელიც გამორიცხავს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, და სხვა დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარმოდგენლობა.¹⁸

1.3. პროცესუალური და მატერიალური კანონიერი ნდობა

იურიდიული დოქტრინა იცნობს პროცესუალურ და მატერიალურ კანონიერ ნდობას. თავდაპირველად, კანონიერი ნდობა აღიარებულ იქნა პროცესუალურ უფლებებთან მიმართებაში. თუ გადაწყვეტილებას სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო მიიღებდა დაინტერესებული მხარის მოსმენისა და მისი აზრის გათვალისწინების გარეშე, დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა კანონიერი ნდობა მისთვის კანონით მინიჭებული პროცესუალური უფლებების მიმართ. კერძოდ, მას ჰქონდა რწმენა, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით ისარგებლებდა და მისი აზრი გათვალისწინებული იქნებოდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.¹⁹

მეტად რომ დავკონკრეტდეთ, მატერიალური კანონიერები ნდობა შესაძლოა არსებობდეს ორ შემთხვევაში. პირველი, როდესაც დაინტერესებული პირი უკვე იღებს სარგებელს ან/და აქვს კანონის შესაბამისად რაიმე უპირატესობას. შესაბამისად, მას აქვს რწმენა, რომ ეს მდგომარეობა უნდა გაგრძელდეს. ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, იზღუდება კანონიერი ნდობით, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გააუქმოს ის სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ პირს ანიჭებს რაიმე უპირატესობას ან სარგებელს. მეორე შემთხვევაში დაინტერესებულ პირს ჯერ არ აქვს რაიმე სარგებელი ან უპირატესობა, თუმცა აქვს კანონიერი მოლოდინი, რომ ის მიიღებს აღნიშნულ უპირატესობას და სარგებელს. მეორე შემთხვევაში, კანონიერი ნდობას აქვს იძულების ეფექტი გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოზე, რომ მისცეს პირს დაპირებული სარგებელი ან მიანიჭოს უპირატესობა დაპირებისამებრ.²⁰

თუ კარგად დავაკვირდებით, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან შეგვიძლია პარალელი გავავლოთ და მსგავსი დაყოფა ქართულ კანონმდებლობაშიც აღმოვაჩინოთ. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს კანონიერი ნდობის არსებობისას აღმჭურველი ინდივიდუალურ-

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება Nზს-942-903(კ-07). აქვე. იხ. ტურავა, პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი, 2018, 181.

¹⁸ ტურავა, პ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი, 2018, გვ. 182.

¹⁹ Zeyl, Trevor J., Charting the Wrong Course: The Doctrine of Legitimate Expectations in Investment Treaty Law, Alberta Law Review, Forthcoming, 03/03/2011, p. 472-473.

²⁰ ურიადმყოფელის კ., „კანონიერი ნდობის პრინციპი ადმინისტრაციულ სამართალში“, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, გვ. 12.

ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გაუქმების დაუშვებლობასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებიდან წარმოშობილ კანონიერ ნდობაზე.

ქართულ კანონმდებლობაში და სამეცნიერო ლიტერატურაში პროცესუალური და მატერიალური კანონიერი ნდობა არ გამოიჯნული. ქართულ კანონმდებლობა იცნობს მეტწილად მატერიალური კანონიერი ნდობას. თუმცა, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც კანონიერი ნდობა განხილულია პროცედურული უფლებასთან მიმართებით. აღნიშნული საქმეში მოსარჩელის მიერ გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევა გამოწვეული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაჩივრების პირობების არასწორად განმარტებით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილში, სადაც ხდება გასაჩივრების უფლების განმარტება აქტის ადრესატისთვის, დაუშვებელია, არსებითი ხასიათის შეცდომის დაშვება. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საქმეში ადმინისტრაციულმა ორგანოს მიერ დაშვებულმა სამართლებრივმა შეცდომამ გამოიწვია გასაჩივრების უფლების არასწორი გაგება დაინტერესებული მხარის მხრიდან, მას იცავს კანონიერი ნდობის ინსტიტუტი, შესაბამისად, უფლებამოსილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივროს იმ წესით და იმ ვადაში, როგორ ეს მას ადმინისტრაციულმა ორგანომ განუმარტა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს განმარტების მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაშვებული სამართლებრივი შეცდომა არ უნდა გახდეს დაინტერესებული პირისათვის სარჩელის ან საჩივრის დასაშვებობის დამაბრკოლებელი მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი.²¹

როგორც ვხედავთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს გადაწყვეტილება, სადაც შეგვიძლია ვისაუბროთ პროცესუალურ კანონიერ ნდობასთან მიმართებით, თუმცა ეს მაგალითი ეხება უფრო პროცედურული უფლებებთან დაკავშირებულ კანონიერ ნდობას, რომელიც მაინც მატერიალურია და არა პროცედურული. ზემოთაღნიშნული განმარტების მიხედვით, პროცესუალური კანონიერი ნდობა გულისხმობს კონკრეტულად დაინტერესებული მხარის მოსმენისა და მოსაზრებების წარდგენის უფლების მიცემის გარეშე გადაწყვეტილების მიღებას და მისგან წარმოშობილ კანონიერ ნდობას და მოლოდინს პროცედურული უფლებების, კერძოდ, მხარის მოსმენისა და მოსაზრებების წარდგენის უფლების მიმართ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მატერიალური კანონიერი ნდობის ორივე შემთხვევას, როგორც აღმჭურველი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გაუქმების დაუშვებლობას, ისე ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების საფუძველზე წარმოშობილ კანონიერ ნდობას.

2. კანონიერი ნდობა, როგორც კონსტიტუციური სამართლის პრინციპი

კონსტიტუციური სამართალი განსაზღვრავს ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლის ნებისმიერი დარგისთვის მნიშვნელოვანია და სახელმძღვანელო ხასიათი აქვს. ადმინისტრაციული სამართალიც საკონსტიტუციო სამართლის ერთგვარ კონკრეტიზაციას წარმოადგენს. კონსტიტუციური პრინციპები უნდა გავაანალიზოთ და გავიგოთ კომპლექსურად, ადმინისტრაციულ სამართალში არსებულ ნორმებთან მიმართებით,

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2009 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება №ბს-168-162(კს-09).

რომელიც მიღებულია სწორე კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების და დებულებების ინტერპრეტაციის ზეგავლენით.²²

კანონიერი ნდობის პრინციპის განხილვა კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპის რანგში უკვე საკამათოდ აღარ არის. განსხვავებული აზრი არსებობს იმის შესახებ, თუ რომელი კონსტიტუციური ნორმას უკავშირდება კანონიერი ნდობის პრინციპის წარმოშობა. მეცნიერთა დიდი ნაწილის ამ პრინციპის ფესვებს ხედავს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპში და სოციალური სახელმწიფოს პრინციპში.²³

2.1. კანონიერი ნდობა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი

არსებობს მოსაზრება რომ კანონიერი ნდობის პრინციპი მომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, რომელიც იცავს მოქალაქეს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის გაცრეებისგან.²⁴

გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი ელემენტია სამართლებრივი სტაბილურობა, სამართლებრივი სტაბილურობა კი პირველ რიგში მოქალაქისთვის არის ნდობის დაცვა. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისად, სახელმწიფოს საქმიანობა უნდა იყოს განჭვრეტადი, რაც ასევე სტაბილურობის შემადგენელი ნაწილია და საზოგადოებისთვის ეს ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან ნდობის გარანტიების შექმნას.²⁵

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თავისი შინაარსით მოქალაქეს აძლევდეს საშუალებას, რომ ამ აქტის საფუძველზე განახორციელოს ქმედება და შეეძლოს წინასწარ განჭვრეტო ამ აქტის შედეგები.²⁶ შედეგების წინასწარ განჭვრეტა და აქტის საფუძველზე ქმედების განხორციელება კი აქტის კანონიერების მიმართ რწმენის გარეშე შეუძლებელია, აქტის კანონიერების რწმენა კი, თავის მხრივ, კანონიერი ნდობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

გერმანული იურიდიული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ქმნის კანონიერი ნდობის დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს. საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელიც აქტის გაუქმებისა და ძალაში დატოვების სამართლებრივ საფუძველების ერთი ნორმიდან გამოყვანას არამართლობიერად მიიჩნევს, არ არის საკმარისად არგუმენტირებული. ვინაიდან, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არ არის ბლანკეტური ნორმა, ის არის მრავალპოლუსიანი. სწორედ მისი მრავალპოლუსიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი განვიხილოთ, როგორც აქტის გაუქმების საფუძველად, ისე აქტის გაუქმების შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველად.

²²ცხადაძე, ქ., „კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისათვის“, სამეცნიერო პოპულარული ჟურნალი ადმინისტრაციული სამართალი, N2, თბილისი, 2016, გვ. 5-6.

²³ ტურავა, პ., „კანონიერი ნდობის პრინციპი (შედარებითსამართლებრივი ანალიზი)“, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 10, N2-3, 2007, გვ. 221.

²⁴ გეგენავა, დ., ზომერმანი, კ., კობახიძე, ი., როგავა, ზ., სვანიშვილი, ს., ტურავა, პ., ყალიჩავა, კ., ხუბუა, გ., „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძველების სახელმძღვანელო“, თბილისი 2016, გვ. 111.

²⁵ ტურავა, პ., კანონიერი ნდობის პრინციპი (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 10, N2-3, 2007, გვ. 222.

²⁶ცხადაძე, ქ., კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისათვის, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი ადმინისტრაციული სამართალი, N2, თბილისი, 2016, გვ. 6.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის როგორც მატერიალური სამართლიანობის, ისე ნდობის დაცვის პრინციპის საფუძვლად მიჩნევა.²⁷

2.2. კანონიერი ნდობა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპი

საქართველოს კონსტიტუცია პრეამბულაში სოციალური სახელმწიფოს პრინციპს წარმოგვიდგენს როგორც სახელმწიფო მიზანს.

ავტორთა ნაწილი კანონიერი ნდობის დაცვის პრინციპის კავშირს კონსტიტუციით გარანტირებულ პრინციპებთან ამყარებს მოსაზრებით, რომ ნდობის პრინციპი უკავშირდება სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. ავტორთა აღნიშნული ჯგუფის აზრით, ნდობის დაცვის პრინციპმა უნდა დააბალანსოს ურთიერთობა მოქალაქეს და სახელმწიფოს შორის, ვინაიდან მოქალაქე დამოკიდებული არის სწორედ სახელმწიფოზე და მის კანონიერ ქცევაზე. სოციალური სახელმწიფოს პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, უზრუნველყოს სოციალური სამართლიანობა და დაეხმაროს საზოგადოების ეკონომიკურად გაჭირვებულ ფენებს პრობლემების დაძლევაში. ეკონომიკურად დაუცველი ფენები დაცულნი უნდა იყვნენ, რომ სახელმწიფო უკან არ დაიბრუნებს საზოგადოების წევრისგან ერთხელ მიღებული სარგებელს.²⁸ აღნიშნული პოზიციის საწინააღმდეგოდ არსებობს მოსაზრება, რომ სოციალური სახელმწიფოს პრინციპის საფუძველზე ნდობის დაცვის მოთხოვნა მოიცავს მხოლოდ სოციალურად დაუცველ ფენებს და სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მიმართულია სახელმწიფოს მხრიდან დამხმარე ხასიათის ინტერვენციაზე.²⁹ თუმცა, ეკონომიკურად გაჭირვებული ფენის დახმარება არ არის სოციალური სახელმწიფოს ერთადერთი მიზანი. სოციალური სახელმწიფოს მიზანია ასევე დაიცვას ინდივიდის ქონება, ფინანსები, ჯანმრთელობა და საკუთრება.³⁰ შესაბამისად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპის მნიშვნელოვან ელემენტებად უნდა განვიხილოთ არამხოლოდ საზოგადოების ეკონომიკურად გაჭირვებულ ფენების დახმარება, არამედ სოციალური თანასწორობა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური სამართლიანობა. შესაბამისად, ეს არგუმენტი ვერ იქნება განხილული იმ ავტორთა მოსაზრებების საწინააღმდეგოდ არგუმენტად, რომლებიც კანონიერი ნდობის დაცვის პრინციპს კონსტიტუციით გარანტირებულ სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან აკავშირებენ.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპზე დაყრდნობით, მისი მრავალპოლუსიანი ბუნების გათვალისწინებით, შესაძლებელია, როგორც საჯარო ინტერესების, ისე ინდივიდის ინტერესების დაცვა.³¹

2.3. კანონიერი ნდობა და კეთილსინდისიერება

ნდობის დაცვის სამართლებრივ საფუძვლად ხშირად განიხილება სამოქალაქო სამართალში კარგად ცნობილი კეთილსინდისიერების პრინციპი. ეს პრინციპი

²⁷ ტურავა, პ., კანონიერი ნდობის პრინციპი (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 10, N2-3, 2007, გვ. 235.

²⁸ იქვე, გვ. 226.

²⁹ იქვე, გვ. 228.

³⁰ გეგენავა, დ., ზომერმანი კ., კობახიძე ი., როგავა ზ., სვანიშვილი ს., ტურავა პ., ყალიჩავა კ., ხუბუა გ., „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლების სახელმძღვანელო“, თბილისი 2016, გვ. 64.

³¹ ტურავა პ., „კანონიერი ნდობის პრინციპი (შედარებითსამართლებრივი ანალიზი)“, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 10, N2-3, 2007, გვ. 235.

განსაკუთრებით, გერმანიის ფედერალური საფინანსო სასამართლოს მიერ სახელდება კანონიერი ნდობის დაცვის პრინციპის საფუძვლად. ამასთან, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ვკითხულობთ, რომ ნდობის დაცვის პრინციპს საფუძვლად უდევს კეთილსინდისიერები. თუმცა ერთგვაროვანი პრაქტიკა არც აქ გვხვდება, არსებობს ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებებიც, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ნდობის დაცვის პრინციპი გამომდინარეობს სამართლებრივი სტაბილურობისა და სამართლებრივი სიმშვიდის პრინციპებიდან.³²

ნდობის დაცვის პრინციპის გამოყენებას კეთილსინდისიერების სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპიდან ავტორთა ერთი ჯგუფი კრიტიკულად შეხვდა. ერთ-ერთი ასეთი ავტორთაგანი არის შულე, რომელიც მიიჩნევს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპს, ვერ გამოვიყენებთ ადმინისტრაციული ორგანოს ქცევის საზომად. კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს ორმხრივი ურთიერთპატივისცემის მოთხოვნას, შესაბამისად, სულ მცირე ორმხრივი ნების გამოვლენა არის აუცილებელი წინაპირობა. ასეთი ურთიერთობა კი საჯარო სამართალში ხშირი არაა. მსგავსი ურთიერთობა დამახასიათებელია სამოქალაქო სამართლისთვის.³³

სამართლებრივ დოქტრინაში კეთილსინდისიერება და კანონიერი ნდობა მკაცრად გამიჯნული ცნებები არ არის. მათ უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე განსხვავება. კეთილსინდისიერების შემთხვევაში ორივე მხარეს მოეთხოვება ამ პრინციპის დაცვა, კანონიერი ნდობის დროს კი დაინტერესებულ მხარეს აქვს ადმინისტრაციული ორგანოსგან მოლოდინი და რწმენა, რომ მისი ქმედება კანონის შესაბამისია.³⁴ თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაინტერესებული მხარის მხრიდან კეთილსინდისიერი ქმედება არის აუცილებელი წინაპირობა, რომ სახეზე გვქონდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა. შესაბამისად, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა ევალება როგორც დაინტერესებულ მხარეს, ისე ადმინისტრაციულმა ორგანოს.³⁵ შესაბამისად, შეგვიძლია ვისაუბროთ როგორც კეთილსინდისიერ დაინტერესებულ მხარეზე, ისე კეთილსინდისიერ ადმინისტრაციულ ორგანოზე.

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში კეთილსინდისიერების პრინციპის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის არსებობაზე მიგვანიშნებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიც. საჯარო მოხელის ფიცი ხაზს უსვამს კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობას და როლს საჯარო მოხელის საქმიანობაში.³⁶

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კეთილსინდისიერების პრინციპს პირდაპირ არ მოიხსენიებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თუმცა მის განსაკუთრებულ ნაწილში, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებშიც ხდება ამ პრინციპის მოშველიება.

³² იქვე, გვ. 224.

³³ იქვე.

³⁴ ურიადემოფელი, კ., „კანონიერი ნდობის პრინციპი ადმინისტრაციულ სამართალში“, სადისერტაციო ნაშრომი, 2015, გვ. 24.

³⁵ ტურავა, პ., წკეპლაძე, ნ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, თბილისი, 2013, გვ. 34-35.

³⁶ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 44-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 18, 27/10/2015.

3. კანონიერების პრინციპის არსი და დანიშნულება

ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონიერი ნდობის პრინციპს აქვს მბოჭავი ძალა. სახელმწიფო მმართველობას აქვს მოქმედების გარკვეული თავისუფლების ფარგლები, თუმცა ის ყოველთვის შეზღუდულია კანონით. კანონიერების პრინციპთან მიმართებით მნიშვნელოვანია უფლებამოსილებისა და კომპეტენციის საკითხი. ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო მმართველობის სფეროში უნდა გამომდინარეობდეს კანონის საფუძველზე მინიჭებული კომპეტენციიდან და უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს.

კანონი ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც „ფორმალური“, ისე „მატერიალური“ გაგებით. კანონი ფორმალური გაგებით ნიშნავს პარლამენტის მიერ განსაზღვრული წესით მიღებულ ნორმატიულ აქტს. მატერიალური გაგებით კი კანონი არის სახელმწიფოში მოქმედი ყველა სამართლებრივად სავალდებულო, აბსტრაქტული და ზოგადი სამართლებრივი აქტი.³⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების პრინციპი არის ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის მართლზომიერებას და კანონთან შესაბამისობას.

3.1. კანონიერების პრინციპის არსი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებისთვის

კანონიერების პრინციპი არის ზოგადი პრინციპი, რომელშიც გაერთიანებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ. ამ პრინციპის ცნებაში მოიაზრება როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული პრინციპები, ისე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობის განხორციელების სავალდებულოდ დადგენილი სტანდარტები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების თანმდევი ვალდებულებაა კანონიერების პრინციპის განხორციელება. მისი უგულებელყოფა უტოლდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების უკანონობის უკანონობას.³⁸

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს ნებისმიერ ქმედება უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს. ნორმის ამ ნაწილში წარმოჩენილი კანონის უზენაესობის პრინციპი ადმინისტრაციულ ორგანოს უკრძალავს კანონისგან გადახვევას. მისი უგულებელყოფა იწვევს ქმედების მართლწინააღმდეგობას. მე-5 მუხლის მეორე ნაწილი მიხედვით, რომ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას უნდა ჰქონდეს ნორმატიული საფუძველი. ნორმის ეს დებულება გამომდინარეობს კანონისმიერი დათქმის პრინციპიდან.³⁹

³⁷ ხუბუა, გ., „სამართლის თეორია“, თბილისი, 2004, გვ. 140.

³⁸ ხარშილაძე, ი., „საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი“, თბილისი, 2014, გვ. 447.

³⁹ ტურავა, პ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი, 2018, გვ. 104.

მე-5 მუხლის მესამე ნაწილით კი განსაზღვრულია კანონიერი ნდობის პრინციპის დარღვევის სამართლებრივი შედეგები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში მის მიერ განხორციელებულ მმართველობით ღონისძიებას იურიდიული ძალა არ გააჩნია.

კანონისმიერი დათქმის პრინციპის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის განმსაზღვრელი არის მხოლოდ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, შესაბამისად, მან უნდა იმოქმედოს ამ უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისი კანონის არარსებობა თავისთავად გამორიცხავს მმართველობითი ღონისძიების განხორციელებას.

3.2. კანონიერების პრინციპი, როგორც კონსტიტუციური სამართლის პრინციპი

კანონიერების პრინციპი არის სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც მნიშვნელოვანი კონსტიტუციური პრინციპის გამოვლინება და ერთგვარი დაკონკრეტება. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება მოიაზრებს მათ შორის მმართველობის კანონიერების პრინციპსაც.

კანონიერების პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე, ეს პრინციპი არის ხელისუფლების კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმი. ის ერთგვარად ადგენს ადმინისტრაციული ორგანოების ჩარევის ფარგლებს კერძო ინტერესებთან მიმართებით. ამ პრინციპის მთავარი მიზანია აღკვეთოს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედება, რაც აუცილებელი პირობაა სამართლებრივი სტაბილურობის მისაღწევად.⁴⁰ სამართლებრივი სტაბილურობა კი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

კანონიერების პრინციპის მეორე ელემენტს, კანონისმიერი დათქმის პრინციპსაც აქვს კავშირი კონსტიტუციაში განმტკიცებულ პრინციპებთან, კერძოდ, დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ძირითადი უფლებების აღიარების პრინციპებთან.⁴¹

დემოკრატიის პრინციპის ერთ-ერთი მოთხოვნა არის, რომ ქვეყნის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ხალხისგან პირდაპირი წესით არჩეულმა და დემოკრატიულად ლეგიტიმურმა წარმომადგენლობითმა ორგანომ მიიღოს. ამ შემთხვევაში, კანონისმიერი დათქმის პრინციპი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის კომპეტენციათა გადანაწილების ფუნქციასაც ასრულებს.⁴²

ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონიერების პრინციპი გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპიდან და წარმოადგენს მის ერთგვარ დაკონკრეტებას ადმინისტრაციულ სამართალში.

4. კანონიერი ნდობისა და კანონიერების პრინციპის ურთიერთმიმართება

4.1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ რაც გავა საჩივრისა და სარჩელისათვის კანონმდებლობით

⁴⁰ცხადაძე, ქ., „კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისათვის“, სამეცნიერო პოპულარული ჟურნალი ადმინისტრაციული სამართალი, N2, თბილისი, 2016, გვ. 10.

⁴¹ტურავა, პ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი, 2018, გვ. 105.

⁴²ადეიშვილი, ზ., ვარდიაშვილი, ქ., იზორია, ლ., კალანდაძე, ნ., კოპალეიშვილი, მ., სხირტლაძე, ნ., ტურავა, პ., ქიტოშვილი, დ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, თბილისი, 2005, გვ. 41.

დადგენილი შესაბამისი ვადა, იქნეს შესასრულებლად სავალდებულო ძალას, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისთვის, ისე მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვის. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მმართველობის თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას, ასეთი აქტების გააუქმოს საკუთარი ინიციატივით.⁴³ კერძოდ, ეფექტური მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პრინციპი ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს უფლებამოსილებას, მოახდინოს მმართველობითი სამართლებრივი აქტების შესაბამისობაში მოყვანა რეალურ სამართლებრივ და ფაქტობრივ ცვლილებებთან და შესაბამისად, კონკრეტული ურთიერთობის ახლებურად მოწესრიგება. თუმცა, აქ ადმინისტრაციული ორგანოს აქვს ვალდებულება, დაიცვას კერძო და საჯარო ინტერესების თანაზომიერების პრინციპი.⁴⁴

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება მოიცავს, როგორც აქტის ბათილად ცნობას ისე, მის ძალადაკარგულად გამოცხადებას. ორივე შემთხვევაში აქტი წყვეტს არსებობას, მაგრამ მათ შორის განსხვავება არის გაუქმებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივ ბუნებაში.⁴⁵

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუკი დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდომა გააჩნია ამ აქტის მიმართ. რაც გულისხმობს, პირველ რიგში, დაინტერესებული მხარის ინტერესების დაცვას.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრას მისი მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებსაც. პირის კანონიერი ნდობისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა მისი ძალაში შესვლის დღიდან, მისი ბათილად ცნობის დღიდან ან მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით.⁴⁶

ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება, გააუქმოს უკვე მიღებული გადაწყვეტილება, გამომდინარეობს კანონიერების პრინციპიდან, რომელიც არის კონსტიტუციით აღიარებული პრინციპი. შესაბამისად, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი არის სწორედ მმართველობის კანონიერების პრინციპის, რომელიც მოითხოვს, რომ უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად იქნეს ცნობილი, თუმცა მის საპირისპიროდ გვხვდება კანონიერი ნდობის პრინციპი, ვინაიდან, აღნიშნული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების მიმართ დაინტერესებულ მხარეს აქვს კანონიერი ნდობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორივე პრინციპი არის კონსტიტუციური რანგის და საფუძვლად უდევს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, ამ აქტის მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უკანონო

⁴³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 60, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, გვ. 15, 25/06/1999.

⁴⁴ ტურავა, პ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი, 2018, გვ. 199-200.

⁴⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 60¹-62, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, გვ. 15-16, 25/06/1999.

⁴⁶ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 60¹, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, გვ. 15, 25/06/1999.

ადმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების დროს ადგილი არ აქვს კანონიერების პრინციპისა და კანონიერი ნდობის პრინციპის დაპირისპირებას, ვინაიდან, აქტი კანონიერია და ეს ორი პრინციპი ერთმანეთის გვერდით დგას. თუმცა ეს ურთიერთდაპირისპირება ისევე სახეზეა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია მისი გამოცემისას არსებული ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლების შეცვლა. ამ დროს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისი გამოცემის დროს არის კანონიერი, მაგრამ მისი გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შემდგომი შეცვლა მას ხდის უკანონოს.⁴⁷

4.2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისას კანონიერი ნდობის და კანონიერების პრინციპის დაპირისპირება

საინტერესოა ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში, ნდობის დაცვის პრინციპი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს, რომ მოქალაქის სასარგებლოდ განახორციელოს უკანონო ქმედება და ძალაში დატოვოს უკანონო გადაწყვეტილება.⁴⁸ რაც ისევე და ისევე მიგვანიშნებს კანონიერი ნდობის პრინციპის სიძლიერეზე და მისი დამცველობითი ბუნების ეფექტურობაზე. აქტის ბათილად ცნობის საფუძველი იქნება მმართველობის კანონიერების პრინციპი, რომელიც მოითხოვს კანონიერების აღდგენას და უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას. ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება ზემოხსენებულ ორ უმნიშვნელოვანეს პრინციპს შორის დაპირისპირებას, კოლიზიას. ერთი მხრივ, სახეზე გვაქვს ბათილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი, ხოლო, მეორე მხრივ, მის საპირისპიროდ დგას კანონიერების პრინციპი, რადგან აღნიშნული აქტი უკანონოა. კანონიერების პრინციპის დაცვის სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, თუმცა დაინტერესებულ პირს იცავს კანონიერი ნდობის პრინციპი.

როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ? რომელ პრინციპს უნდა მიანიჭოს უპირატესობა? შეუძლებელია, ცალსახად პრობლემის გადაწყვეტა და ამ კითხვებზე პირდაპირი პასუხის გაცემა. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, ადმინისტრაციული ორგანოს და ასევე სასამართლო წარმოებისას სასამართლოს მიზანი და მთავარი ამოცანაა, რომ ამ ორი პრინციპის კოლიზიის დროს მიიღოს თანაზომიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ ადმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შედეგების ძალაში დატოვების მიზანი არის ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის - კანონიერი ნდობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ განაპირობებს მმართველობის ავტორიტეტს და სამართლებრივი უსაფრთხოებას.⁴⁹

⁴⁷ტურავა, პ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი, 2018, გვ. 204-207.

⁴⁸ტურავა, პ., „კანონიერი ნდობის პრინციპი (შედარებითსამართლებრივი ანალიზი)“, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 10, N2-3, 2007, გვ. 226.

⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება N-ბს-143-137(კ-10).

მოქალაქის ნდობა მმართველობის ორგანოს ქმედებაზე უნდა შეფასდეს უფრო მეტად მნიშვნელოვნად, ვიდრე ის ინტერესი, რომელსაც იცავს ადმინისტრაციული ორგანო.⁵⁰

კანონიერი ნდობისა და კანონიერების პრინციპის შეპირისპირებასთან მიმართებით საინტერესოა 2010 წლის 17 აპრილის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რეკომენდაციები, რომელიც ეხება, მათ შორის, ამ ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის დაპირისპირების შემთხვევებსაც. აღნიშულ შეხვედრაზე განხილულ არასწორი საფუძვლით პენსიის რაოდენობის ზრდის ან დანიშვნის და მისი გაცემის შემთხვევა. ამ დროს დაინტერესებულ პირს აქვს კანონიერი ნდობა ამ აქტის მიმართ, თუმცა აქტი, სამართლებრივი ბუნების მხრივ უკანონოა. მოსამართლეთა აზრი შეჯერდა იმაზე, რომ ამ ორი პრინციპის კოლოზიის დროს მთავარი არის კანონიერი ნდობა, კერძოდ, ამ შემთხვევაში, პირს აქვს კანონიერი ნდობა იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, რომლის საფუძველზეც მას გაეზარდა პენსია. თუ არ არსებობს კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოებები, დაინტერესებულ პირს არ შეიძლება ამ აქტის უკანონობის გამო, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ბრალეული ქმედებით იყო გამოწვეული, ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსთხოვოს სხვაობის დაბრუნება. მოსამართლეები შეთანხმდნენ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პირს არ მოეთხოვება სხვაობის დაბრუნება, ვინაიდან მას ჰქონდა კანონიერი ნდობა აქტის მიმართ, მაგრამ მომდევნო თვეებში მას აღარ ჩაერიცხება პენსიის გაზრდილი რაოდენობა.⁵¹

როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების რეკომენდაციების, ისე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როდესაც არ არსებობს კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოებები, კანონიერი ნდობის უფლება, არის სწორედ უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შენარჩუნების გარანტია.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიუხედავად აქტის უკანონობისა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მმართველობითი ღონისძიების სტაბილურობის და პირის კანონიერი ნდობის დაცვის მიზნით კანონმდებელი იცავს თვით კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს და დაუშვებელს ხდის მის გაბათილებას, პირის კანონიერი ნდობის არსებობის შემთხვევაში. სასამართლო მიიჩნევს რომ, ამ პირობებში, თუ არ არსებობს კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოებები და დაინტერესებულმა პირმა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა მას ზიანს აყენებს, უნდა შეფასდეს კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპებს შორის კომფლიქტი და თანაზომიერების პრინციპის მეშვეობით დადგინდეს, თუ რომელი პრინციპის დაცვა არის კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტული.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონიერების პრინციპისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპებს შორის კოლიზიის გადაჭრის დროს, მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე მოხდეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შედეგად მესამე პირებსა და საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის შეპირისპირება.⁵²

⁵⁰ ტურავა, პ., წიკვლაძე, ნ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, თბილისი, 2013, გვ. 35.

⁵¹ რეკომენდაციები ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, 2010, 17 აპრილი. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomendaciebi%20administraciuli.pdf> [უ.გ.26.10.2023].

⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება N-ბს-143-137(კ-10).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელებული იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, ან როდესაც მისი ამოღების შედეგად მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება ამ სიკეთეს, არ შეიძლება ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს, რომლის კანონიერი ნდობაც ამ აქტის მიმართ არის დაცვის ღირსი, უნდა აუნაზღაურდეს აქტის ბათილობით მიყენებული ქონებრივი.⁵³

როგორც ვხედავთ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონიერი ნდობისა და კანონიერების პრინციპის შეპირისპირების დროს, ყველა კონკრეტული შემთხვევა უნდა შეფასდეს ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლოების მხრიდან თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით და სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესების შეფასება.

4.3. თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ადმინისტრაციული ორგანოს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას, კანონმდებელი არ აძლევს სრულ თავისუფლებას, იგი, ერთი მხრივ, შეზღუდულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნით და, მეორე მხრივ, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით. როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, საჯარო და, მეორე მხრივ, კერძო ინტერესი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უნდა მოხდეს კონკრეტული შემთხვევიდან კონკრეტული მხარის ინტერესების შეფასება კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, ყოველი დეტალი ზედმიწევნით უნდა შემოწმდეს, ვინაიდან არც ერთი მათგანის შეზღუდვა არ უნდა მოხდეს უსაფუძვლოდ. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეულმა ღონისძიებამ არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებების და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.⁵⁴

სამართლებრივ დოქტრინაში ცნობილია თანაზომიერების პრინციპის შემოწმებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებულ საშუალებასა და მისაღწევ მიზანს შორის არსებული დამოკიდებულების შემოწმების ოთხი ეტაპი.

პირველი ეტაპი არის მიზნის დადგენა. ამ ეტაპის ფარგლებში უნდა დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისაღწევი მიზანი. მეორე ეტაპი გახლავთ შესაფერისობის დადგენა. ამ ეტაპზე უნდა შემოწმდეს კანონით განსაზღვრული მიზნისა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული საშუალების შესაფერისობა. მესამე ეტაპი არის აუცილებლობის დადგენა. ამ ეტაპზე მოწმდება, რამდენად არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეული შესაფერისი ღონისძიება აუცილებელი კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ღონისძიება არის აუცილებელი, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს სხვა საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევისას უფრო

⁵³ იქვე.

⁵⁴ ცხადაძე, ქ., „კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისათვის“, სამეცნიერო პოპულარული ჟურნალი ადმინისტრაციული სამართალი, N2, თბილისი, 2016, გვ. 10.

ნაკლებ ზიანს მიაყენებდა საზოგადოებას, ისე ღონისძიების ადრესატს. თანაზომიერების შემოწმების მეოთხე ეტაპს წარმოადგენს პროპორციულობის დადგენა. აუცილებელი ღონისძიება მიიჩნევა პროპორციულად, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით გამოწვეული უფლებების შეზღუდვა პროპორციულ დამოკიდებულებაში არის შეზღუდვის მიზანთან.⁵⁵

პროპორციულობის ეტაპის შემთხვევაში საინტერესოა ის ფაქტი, რომ თანაზომიერების პრინციპის შემოწმების მესამე ეტაპის მიხედვით, ღონისძიების შერჩევისას, ადმინისტრაციული ორგანოს მიზანი უნდა იყოს, რომ მიზნის მიღწევის ისეთი საშუალება შეარჩიოს, რომელიც ყველაზე ნაკლებ ზიანს მიაყენებს საზოგადოებას და ღონისძიების ადრესატს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება „მინიმალური ძალის“ გამოყენება შეიძლება არ იყოს პროპორციული და საკმარისი სამართლიანი გადაწყვეტილებისთვის.⁵⁶

თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე შეგვიძლია განვსაზღვროთ, რამდენად წარმატებით ართმევს თავს ადმინისტრაციული ორგანო ამოცანას, რამდენად აკურატულია ადამიანის უფლებებში ჩარევისას და რამდენად შეუძლია ამ ყოველივეს კონტროლი. თანაზომიერების პრინციპი არის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის სამართლიანობის შეფასების ობიექტური საზომი.⁵⁷

აქტის გაუქმების შემთხვევაში, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ზემოაღნიშნული ოთხი ეტაპის გავლით უნდა შეარჩიოს მმართველობითი ღონისძიება, კარგად აწონ-დაწონოს საჯარო და კერძო ინტერესები და მიიღოს გადაწყვეტილება.

დასკვნა

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული სამართლიანი გადაწყვეტილება არის სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ელემენტი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ თანამედროვე სახელმწიფოს სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს სწორედ საჯარო და კერძო ინტერესებს შორი პრიორიტეტის სწორად გადანაწილება და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისად, ხელისუფლებასა და საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობის გონივრულად დაბალანსებული სისტემის შექმნა.⁵⁸

ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებებიდან და მსჯელობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონიერი ნდობისა და კანონიერების პრინციპს შორის კოლიზიის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოსთვის მთავარი გამოწვევაა, მიიღოს მაქსიმალურად დაბალანსებული და თანაზომიერი გადაწყვეტილება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში სახეზე

⁵⁵ თანაზომიერების პრინციპის შემოწმებასთან დაკავშირებულ ეტაპებზე ინფორმაცია იხილეთ: ტურავა, პ., წკეპლაძე, ნ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, თბილისი, 2013, გვ. 27; ტურავა, პ., „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი, 2018, გვ. 116-117.

⁵⁶ Lango, John W., „Proportionality and Authority”, the ethics of Armed Conflict: A Cosmopolitan just War Theory, Edinburgh University Press, 2014, გვ. 180.

⁵⁷ გონაშვილი, ვ., ერემაძე, ქ., თევდორაშვილი, გ., კახიანი, გ., კვერენჩილაძე, გ., ჭილაძე, ნ., „შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში“, 2016, გვ. 96.

⁵⁸ საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/384, 2 ივლისი, 2007.

გვაქვს ორი, კონსტიტუციურად თანაბარი რანგის მქონე ურთიერთდაპირისპირებული პრინციპი, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის დაკონკრეტებას.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების გადაწყვეტილებაში დაასაბუთოს, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა ორი დაპირისპირებული პრინციპიდან ერთ-ერთს. ნათლად უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ის არგუმენტები წარმოჩენილი, რომელიც დაადასტურებს კანონიერი ნდობის საწინააღმდეგოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების უპირატესობისას, ან პირიქით და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში დატოვების აუცილებლობას.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონიერების პრინციპისათვის უპირატესობის მინიჭების შემთხვევაშიც კი, კანონიერი ნდობის პრინციპი მაინც ინარჩუნებს თავის უფლებადამცავ ფუნქციას და ის ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

მთავარ სირთულეს ამ ორი პრინციპის დაპირისპირებისას წარმოადგენს ის, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს და ვერც ექნება კონკრეტული პასუხი - „მზა რეცეპტი“, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს ეს კოლიზია და რომელ პრინციპს მიანიჭოს უპირატესობა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანოს, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების, თანაზომიერების პრინციპისთვის დამახასიათებელი ეტაპების შესაბამისად, საჯარო და კერძო ინტერესების აწონ-დაწონვის საფუძველზე, უნდა მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კანონიერი ნდობა დაინტერესებული მხარის ერთ-ერთი ფუნდამენტალური უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში. კანონიერი ნდობის ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება მნიშვნელოვანია, რადგან ის არის ერთგვარი წინაპირობა მმართველობის კანონიერების, სტაბილურობისა და მისი ავტორიტეტის საზოგადოებაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეულმა ღონისძიებამ არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. სწორედ ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს კონტექსტზე მორგებული, გონივრული და თანაზომიერი გადაწყვეტილების საფუძველი.

ბიბლიოგრაფია

1. ადგიშვილი, ზურაბი, ვარდიაშვილი, ქეთევანი, იზორია, ლევანი, კალანდაძე, ნინო, კოპალეიშვილი, მაია, სხირტლაძე, ნუგზარი, ტურავა, პაატა, ქიტოშვილი, დიმიტრი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005;
2. გეგენავა, დიმიტრი, ზომერმანი, კარლ-პიტერ, კობახიძე, ირაკლი, როგავა, ზვიადი, სვანიშვილი, სანდრო, ტურავა, პაატა, ყალიჩავა, კობა, ხუბუა, გიორგი, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლების სახელმძღვანელო, თბილისი, 2016;
3. გონაშვილი, ვასილ, ერემაძე, ქეთევან, თევდორაშვილი, გიორგი, კახიანი, გიორგი, კვერენჩილაძე, გიორგი, ჭილაძე, ნანა, შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, 2016;
4. ვაშაკიძე, გიორგი, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-1;
5. იზორია, ლევანი, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009;
6. კოპალეიშვილი, მაია, სხირტლაძე, ნუგზარი, ქარდავა, ეკატერინე, ტურავა, პაატა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008;
7. რეკომენდაციები ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, 2010, 17 აპრილი.
<http://www.supremecourt.ge/files/uploadfile/pdf/rekomendaciebi%20administraciuli.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.10. 2023];
8. ტურავა, პაატა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი, 2018;
9. ტურავა, პაატა, კანონიერი ნდობის პრინციპი (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 10, N2-3, 2007;
10. ტურავა, პაატა, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლება და მისი ინსტიტუციური გარანტია, ადამიანის უფლებათა დაცვა კანონმდებლობა და პრაქტიკა, კ.კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2018;
11. ტურავა, პაატა, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლება და მისი ინსტიტუციური გარანტია, ადამიანის უფლებათა დაცვა კანონმდებლობა და პრაქტიკა, თბილისი 2018;
12. ტურავა, პაატა, წვეპლაძე, ნათია, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2013;
13. ურიადყოფელი, კახაბერი, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებიდან წარმოშობილი კანონიერი ნდობის პრინციპი, წიგნში: ქართული ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2016;
14. ურიადყოფელი, კახაბერი, კანონიერი ნდობის პრინციპი ადმინისტრაციულ სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, 2015;
15. ცხადაძე, ქეთევანი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისათვის, სამეცნიერო პოპულარული ჟურნალი ადმინისტრაციული სამართალი, N2, თბილისი, 2016;

16. ხარშილაძე, ირმა, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2014;
17. ხუბუა, გიორგი, სამართლის თეორია, თბილისი, 2004; <https://drive.google.com/file/d/1jke7BFKWhACStNzue4D8RxrQw6N2xlz8/view> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.10. 2023];
18. Barak-Erez, Daphne. "The Doctrine of Legitimate Expectations and the Distinction between the Reliance and Expectation Interests." *European Public Law*, 2005;
19. Dineke, Algera, Giacomo, Cicconardi, Simone, Couturaud, Ignazio, Genuardi, Felicie Steichen v Common Assembly of the European Coal and Steel Community. 7/56 (Joined Cases 7/56 and 3 to 7/56) (July 12, 19571);
20. Georg Nolte *General Principles of German and European Administrative Law: A Comparison in Historical Perspective. The Modern Law Review*, 1994. <http://www.jstor.org/stable/1096807> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.10. 2023];
21. Lango, John W., „Proportionality and Aithority”, the ethics of Armed Conflict: A Cosmopolitan just War Theory, Edinburgh University Press, 2014, JSTOR <http://www.jstor.org/stable/10.3366/j.ctt9qdrf3.11> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.10. 2023];
22. Nolte, Georg. "General Principles of German and European Administrative Law – Comparison in Historical Perspective." *The Modern Law Review*, Januare 18, 2011;
23. Trevor, J. Zeyl, *Charting the Wrong Course: The Doctrine of Legitimate Expectations in Investment Treaty Law*, Alberta Law Review, Forthcoming, 19, 03/03/2011;
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება №ბს-192-184(3კ-13), ქ. თბილისი;
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება №ბს-708-693(3კ-12);
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება №ბს-818-802 (კ-12), ქ. თბილისი;
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2013 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება №ბს-699-685(კ-12), ქ. თბილისი;
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება №ბს-1546- 1525(კ-11), ქ. თბილისი;
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №ბს- 635-630(კ-11), ქ. თბილისი;
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება №ბს-1105-1074(2კ-10), ქ. თბილისი;
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება №ბს-174-168(2კ-10), ქ. თბილისი;
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება №ბს-1725-1679(კ-08), ქ. თბილისი;

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება Nბს- 1096-1052(2კ-10), ქ. თბილისი;
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nბს-535-506(კ-09), ქ. თბილისი;
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება Nბს-168-162(კს-09), ქ. თბილისი;
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება Nბს-1433-1391(კ-08), ქ. თბილისი;
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება Nბს-841-809(კ-08);
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება Nბს-942-903(კ-07), ქ. თბილისი;
39. საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/384, 2 ივლისი, 2007;
40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება N3გ-ად-52-კ-02.10, ქ. თბილისი;
41. საქართველოს კონსტიტუცია;
42. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
43. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ISSN 2667 9892
ჟღეკ (udc) 001.5 ბ 75

